

7
1906.

№ 2-26.

მეცემსი

1883—1906

№ 3-4

1906 წ.

15—28 თებერვალი.

გ ა ლ ე მ ც ი ი ს ა ზ ა ნ .

ჩვენი ჟურნალის ზოგიერთი მკითხველები წერილებით და ზოგი სიტყვიერად გვისაცხედებდნენ ხოლმე, რომ ჟურნალი არ გაუგზავნიან მათ და დაუბარებლად. ზოგიერთები იწერებენ: ჟურნალი გამოგზავნეთ და ფულს თავის დროზე გამოგიგზავნი-თო. ვერ შევტყვევებთ, რომელია ეს „თავისი დრო“ ჟურნალ-გაზეთზე ხელმოსაწერი ფულების გამოგზავნისა. ზოგიერთი ფიქრობს, რომ გაზეთის გამოსაწერის ფულის გაგზავნის „თავისი დრო“ არის ერთი წლისა და ორი თვის გასვლის შემდეგი! წაღით და უკადეთ თქვენ ამ დრომდის!..

ჩვენი მხრით ყოველივე ღონე ვიხმარეთ, რომ „მწყემსი“-ს გამოწერის ფულები დავემკირებია, რომ ამით ღარიბებისათვისაც საშუალება მიგვეცა ცოტათ თუ ბევრად გონებით განვითარების საქმეში. ბევრს წლის დასასრულამდისაც ნისიად უგზავნიდით.

დანამდელივით ვიცით ჩვენი სამღვდლოების გაქირავებული ნივთიერი მდგომარეობა და ხელოვ-ლეობა. ვიცით აგრეთვე დღევანდელი უზედური გამოყოფილი მდგომარეობა მიილი საზოგადოებისა და განსაკუთრებით ჩვენი სამღვდლოებისათვის. მაგრამ საზოგადოებაც უნდა აქცევდეს ყურადღებას რედაქცი-ის მდგომარეობას. ჩვენი ჟურნალი არ არის ისეთი ორგანო, რომელსაც ძალი-უნებურად აჩვენებდნენ სამღვდლოებას და მხოლოდ ფულს იღებდნენ მათგან არა მიმხედველი გამოცემის შინაარსისა...

რაც უნდა საწყალი და ღარიბი მდგომარეობის იყოს ჩვენი სამღვდლოება ამით მიანიც ვერ გაიმარ-თლებს თავს, რომ მან სამი მანეთის გარდახდა ვერ შეიძლო. ამისათვის რედაქცია იძულებულია ამ წინ-რიდან არავის გაუგზავნოს „მწყემსი“ ხელმოსაწერი ფულების გამოგზავნელად.

ვისაც დღემდისინ კიდევ არ წარმოუდგენია წარსული წლის ჟურნალის ფული ვთხოვთ მოაჩი-ლად გამოგზავნონ.

ახალი მიმართულებით „სასულიერო მოამბის“ გამოცემის კითხვის შესახებ.

ამ სათაურით არის მოთავსებული იანვრის შეერთებულ „სასულიერო მოამბის“ ნომერში რუსული სტატია უცნობი პირისაგან. ამ სტატიით ეცნობება მკითხველებს, რომ „სასუ-ლიერო მოამბე“ იოანე ვოსტარგოვის რედაქტორობის დროს ძლიერ სამუშაოა მიმართულება მიიღოვო, ქართული განყოფილება სრულებით მოისპო და პროგრამის წინააღმდეგ იბე-ტლებოდა ქება-დიდება ზოგიერთი პირებისა, რომელთაც არა-ფერი საქები არა გაუეჭებიათ-რაო. უკანასკნელად ექსარხო-სის ბრძანებით დანიშნულა კომიტეტი ყ-დ სამღვდლო, გარის ეპისკოპოსის, ეკეთიმეს თამეჯდომარეობით, რომელ კომიტეტი-შიაც ყოფილან წევრებად მამა დეკ. მარკოზ ტყეშელაძე, მას-წაველებლი მურახოვსკი, მღვ. პოკროვსკი და მასწავ. ილია ფერაძე. ამათ, როგორც იწერებინან, ბევრი უფიქრიათ გაზეთის სახელის გამოცეკვლას და არა სავალდებულოდ მის გამოწერის შესახებ, მაგრამ მოაგრობას არ შეუწყნარებია. ბოლოს რე-დაქციას გადაუწყვეტია, რომ გამოცემის ეურნალი იმდენად გაუმჯობესებული, რომ საინტერესო საკითხად ვახადოს რო-გორც ქართველთა და რუსთათვის ისე ბერძენთა და ოსთათვის. სამუშაოა მხოლოდ ის, რომ ამ ეურნალით ვერ ისარგებ-ლებენ აფხაზები და ინგლოები, თორემ აღნიშნული ოთხი თემის სასულიერო წოდების პირნი ძლიერ ემყოფილნი დაჩ-ჩებინან, როგორც ირწმუნება ავტორი. კეთილი!

პირველი შეერთებული ნომერი მართლაც საინტერესო სტატიებით სავსეა ქართულ ენაზე და ნამეტურ რუსულად. ბერძნულ ენაზე და ოსურზე-ეი არც ერთი სტატია არ არის დაბეჭდილი, მაგრამ შეიძლება მესამე ნომერში დაიბეჭდოს...

ძლიერ გვაკვირვებს ერთი ამბავი, რომელიც დაბეჭდილია ეცნობის გურჯულში. აქ ვკითხულობთ, რომ რუსის მღვდლებმა უარი განაცხადეს საქართველოს მოამბის გამოწე-რაზე. იგილი ახალი რედაქცია მიაქცევს ამას ყურადღებას, ერთათ „შეერთე“-ს ყველა თემის სამღვდლოებას და საინტე-რესო საკითხავად გამოსცემს ყველა თემებისათვის საქეასხო-სო მოამბეს... მაგრამ ერთის ვთხოვთ კომიტეტს. თანხმად უწ. სინოდის უქაზის განათავისუფლოს საწყალი-ღარიბი სამ-ღვდლოება ძალით ხუთი მანეთის გარდახდისაგან, ვინაიდან ეკლესიებს არ შეუძლია მისი გამოწერა და სინოდის უქაზი-სავანაც თავისუფალია ღარიბი ეკლესიები. თუ ჟურნალს სა-ინტერესოდ ვახდინან მაინც ბევრი ყოვლად ხელის-მომჭერი!..

სოფლის ხუცესი.

პრისმა — კანონმდებელი.

(დასასრულა*).

მოგზაურები დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს მთელ ქვეყანაზედ უღლიდესი ცირკის კოლიზების ნაგრევებს. კოლიზი იყო თეატრი, სადაც იმართებოდა სხვა და სხვა დღესასწაული; მაგრამ უუთმავერესი საზოგადოების მიერ ძლიერ მოწონებული და შეფასებული დღესასწაული იყო, «გლადიატორთა ბრძოლა» რომელშიდაც ადამიანები სჭირდებიან და ჰკლამდნენ ერთმანეთს დასწრე საზოგადოების გასართობათ. «გლადიატორთა» აკისრებდნენ მონებსა და ტუსადებს უმეტესათ, ხანდისხან კი მათ რიცხვში მოხვებოდა ისეთებიც, რომელთაც თავის სურვილით აღერჩიათ ეს ხელობა—იშვითად დედა-კაცებიც კი. ბევრი შეეჩვია ამ სისხლის ღვრის ვარჯიშობას, მაგრამ ომში დატყვევებული ვალდები და ამპარტავანი გერმანელები უღლიდესის ზიზლით იყვნენ გამსჭვალულნი იმ როლისადმი, რომლითაც მათ ძალა-უნებურათ ათამაშებდნენ. ფილოსოფოს სენეკის ერთ წერილში არის მოხსენებული სამი შემთხვევა გლადიატორთა თავის კვლისა. ერთმა მათგანმა ვანიგმირა გული იმ მახვილით, რომელიც ის იყო, მას ჩააბარეს, და მით უჩვენა ყველას, როგორც თვით შეეცა ამბობს, რომ „უფრო ღირსეულია თავის მოკვლა ვინემ სხვათა კვლა“. დიდძალი ფული ჯდებოდა ეს გლადიატორთა ბრძოლა, მდიდარი რომაელებისათვის „ეს გასართობი“ ვარდაიქცა საარჩევანო საშუალებად. კანდიდატი, რომელსაც სურდა უზრუნველყო თავისი არჩევის საქმე—ე. ი. მიეღო ამომრჩეველთა უმრავლესობის ხმა, უნდა გამაჰინძმებოდა მათ ამ საშინელის გასართობით—«გლადიატორთა ბრძოლის» გამართვით. იმპერატორები პოლიტიკურის მოსაზრებით ხშირათ იძულებულნი ხდებოდნენ სახლვარი დაველოდ გლადიატორთა ბრძოლისათვის და მით შეემციობნია საარჩევნო ბოროტ-მოქმედება; ამგვარად იმპერატორების ადამიანურ გრძნობათა ნაკლი პოლიტიკურ მოსაზრებით იფარებოდა. იყო ისეთი შემთხვევები, როცა შეძლებული მეტატონე არა თუ თავის სიცოცხლეში უმართავდა ხალხს გლადიატორთა ბრძოლას, არამედ არსებდნენ ამ დაწესებულებას ანდერძით, რათა

უზრუნველ ყოფო თავისი ხსენება სიკვდილის შემდეგ. ჩვენ ვიცით, მაგალითად, უკანასკნელი განკარგულება ორი რომაელისა, რომელთაგან პირველმა უანდრძა «გლადიატორთა ბრძოლის» გამგეობას თავისი სასახლის ყველა ყმაწვილები, ხოლო მეორემ თავისი მონა-ქალები. თუ რამდენად გარყვნილი იმბეცურ სიგითემდის იყო მისული ძველი რომის საზოგადოების გემოვნება—ჩვეულება, სიანს იქიდან, რომ ნადიმისა და მეჯლიშის გამართობ-გამამხიარულებელ საშუალებათ, სხვათა შორის, შემოღებული იყო სწორეთ ეს გასართობი „ეს საშინელი სისხლის ღვრა“. წარმოიდგინე მკითხველო, ესეთი ხანგრძლივი ღზინი, სადაც ერთის მხრით ისხმება ღამას თასებში წითელი «ნუნუა» ხოლო მეორე მხარეს ღზინის მიენახეთა გასართობათ სისხლი ინთხევა ადამიანთა განგმირულ სხეულთაგან. აბა, მკითხველო, შეაჩერე შენი ყურადღება ამ ჰაზრზე. მიაპყარ შენი გონების თვალი ამ საშინელ სურათს! მერე სად ხდება ეს? ბარბაროს ხალხში? არა. ყოველივე ამ უმსგავსებებს ადგილი ჰქონდა რომის იმპერიის, ე. ი. იმ ხალხში, რომელიც აფასებდა ჰორაციოს ოდების (ხოტბების) სიმშვენიერებს. და ვირგილის ლექსთა-წყობის მომხიბლავ ჰარმონიას. ყოველივე ეს ხდებოდა იმ ქვეყანაში, სადაც ყვაოდა ხელოვნება,—იმ ხალხში, რომელმაც დააფუძნა სჯულის მეცნიერება და გვიანდრძა ჩვენ. და აი, ამ განათლებითა და კულტურული განვითარებით მეტათ დაწინაურებულ ქვეყანაში გლადიატორთა ბრძოლა ითვლებოდა ხალხის უმაღლეს გასართობათ. ყოველივე ამას დაუმატეთ ის გარემოება, რომ გლადიატორთა საკმაო რიცხვი სახელმწიფო ხარჯით ინახებოდა და მათი ზედამხედველობა ჰქონდა მინდობლი განსჯურებულ მოხელეს, რომელიც წარჩინებულ ოფიციალურ პირად ითვლებოდა და პატივიც დიდი ჰქონდა. ამგვარათ ეს ადამიანის პიროვნების მიწასთან გამასწორებელი «გასართობი» არსებობდა არა მარტო ხალხის ზნე-ჩვეულების სახით, არამედ განმტკიცებულ-დადასტურებული იყო სახელმწიფო კანონებითა. აგრე დაცინული, განკიცხული და ფას-დაკარგული იყო ადამიანის სიცოცხლე იმ საზოგადოებრივ წრეში, სადაც გაისმა მოციქულთა ქადაგების ძლიერი ხმა. ხანგრძლივი ბრძოლა დასკირდა ეკკლესიას ამ დაკანონებული უსამართლობის აღმოსაფხვრელად. საზოგადოების უბრალო ჩვეულებ-

*) იხ. „მწევისი“ № 1—2, 1906 წ.




ბათა წინააღმდეგ ამხედრებაკი ძნელ საქმეს წარმოადგენს, აქ კი საჭირო იყო ამოხეხვა ხალხის ისეთის ზნე-ჩვეულებისა, რომელიც მას საუკუნოების განმავლობაში ძვალსა და რბილში გასჯდომოდა მთელი მისი არსება შეგებოჲ და დემონებია. იმპერატორმა კონსტანტინემ თუმცა კანონით აკრძალა გლადიატორთა ბრძოლა, მაგრამ კანონი არ სრულდებოდა. იმპერატორმა გონორიმ თავისი მეფობის წლის-თავი 404 წ. იღვესასწაულ და ამ დღესასწაულის აღსანიშნავათ გამართა გლადიატორთა ბრძოლა. საბედნიეროთ, ეს არის უკანასკნელი ამგვარი ბრძოლა, რომელსაც იხსენიებს ისტორია. ეკლესიის ქადაგებითა და კანონებით მომზადებულნი დაგზე ერთი თავგანწირული ბერის გაბედულმა მოქმედებამ სრულებით მოსპო და ისტორიის სამკედროს გადასცა საშინელი სანახაობა, რომელსაც წარმოადგენდა გლადიატორთა ბრძოლა. ეს ბერი იყო ახალ გაზრდა ტელემაქი. ის დესწრო გონორის მიერ-გამართულ გლადიატორთა ბრძოლას ცირკში და როცა ბრძოლის დაწყების ზარი დაჰკრეს, გაიქრა საბრძოლველ ასპარეზზედ მებრძოლთა გასათიშავად... დღესასწაულური გუნების დამფუშველ-გამფუჭებელი ბერი იქვე მოჰკლეს, მაგრამ კაცთმოყვარე მოწამის სისხლი უბრალოდ არ დაღვრილა: ამ შემთხვევის გამო იმპერატორ გონორის თითქოს უფრო ძლიერათ დაუწყო ქნჯნა სინიდისმა და ბოლოს იტმენდისნაც მივიდა საქმე, რომ მან განახლა კონსტანტინეს კანონი გლადიატორთა ბრძოლის გაუქმების მოსპობის შესახებ და განახორციელა ის. ამის შემდეგ კი არც ერთ ქრისტიანულ სახელმწიფოში აღარ გამართულა ისეთი დღესასწაული, რომელზედაც საზოგადოების გასართობათ აღმიანის სისხლი დაღვრილიყო.

ჩვენ ამ მოვლევანეთ მხოლოდ რამოდენიმე მაგალითი იმის დასამტკიცებლად, თუ რა გავლენა აქვს და ჰქონდა ქრისტიანობას ღირსების, სამართლიანობის და კეთილგანწყობილების აღდგენასა და ამადღებაში. საზოგადოთ კი უნდა შევნიშნოთ, რომ ცივილიზაციის ისტორიაში სიკეთისა და სიქველის ხაზები, თუ შეიძლება აგრე ითქვას, მიმართულნი არიან მაცხოვრისადმი, ისე როგორც სინათლის ხაზები მიმართულნი არიან მისაკენ რაფაელის უკვდავი გენიის მიერ შექმნილ ფერისცვალების სურათში. სახარება რომელმაც წარმოშვა თანამედ-

როვე ცივილიზაცია, არის იმავე დროს ძალია რომელიც ამარებს მას. აი მეცნიერული დებულება, რომლის საფუძვით შეგება და ცხოვრებაში გატარება არის ერთადერთი თავდები, კაცობრიობის ჰარმონიული წინსვლა-განვითარებისა და ბრწყინვალე მომავლის, იმ მომავლის, რომლის ქვაკუთხედი იქნება „მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

მ. დ.—ტი ჩხაძე.



რას საზიროვებს ჩვენი მართლ-მადიდებელი ეკლესია?

ჩვენი მართლ-მადიდებელი ეკლესიის გაუმჯობესობა-გადასხვევების შესახებ დიდი მითქმა-მოთქმა როგორც სასულიერო ისე საერო მწერლობაში. წარსულ წელში ამაზედ მოხსენდა მინისტრთა კომიტეტის განსაკუთრებულ საბჭოს და სახელმწიფო სამჭოს დეპარტამენტის თავმჯდომარეს. ხელმწიფე იმპერატორმა ამ საკითხის გამოკვლევა ვადასლო იმ დროისთვის, როდესაც მოწვეული იქნებოდა სრულიად რუსეთის საეკლესიო კრება და ამისთანა დროთ მიიჩნია 17 დეკემბერი წარსული წლისა, როდესაც ბრძანა მან კრების მოწვევა და კრებამდის წინასწარი განკარგულებათა მოხდენა.

როდესაც ოფიციალურად მოხდა საეკლესიო-სამრევლო ცხოვრების თაობაზედ მსჯელობის მოხდენა და კითხვის დასმა, ამისათვის მრავალი და სხვადა-სხვა ნაირი აზრები წარმოითქვა მღვდელ-მთავართა და სამღვდლოებისაგან თუ როგორ უნდა მოგვარდეს საეკლესიო მართვა-გამგეობა და როგორი გაუმჯობესობაა საჭირო ეკლესიისათვის მისის წყურების სასარგებლოდ და ასამაღლებლად? საზოგადოხმას არ ზამორჩა საქართველოს სამღვდლოება და მისის აღრჩეულის პირების მეოხებით შეადგინა რეორგანიზაცია საქართველოს ეკლესიისა, რომლის (რეორგანიზაციის) შეფასება და აწონ-დაწონის გეგმის შემდგენელები ანდობენ საუკეთესო ეკლესიის მწვერთ და წარმომადგენელებსა.

სხვა-და-სხვა მოსაზრებათა შორის შესახებ ეკლესიის ცხოვრების მალა დაყენებისა, ჩვენ წვაედევით ერთს მშვენეირ დადგენილებას რიგის ეპარ-



ქალურ კრებისას, რომელიც მოხდა 20 სექტემბერს — 6 ოქტომბერს 1905 წელს მთავარ-ეპისკოპოსის აგაფანგელის ინიციატივით და თავმჯდომარეობით.)*


ამ კრებას გამოუქვეყნებია შემდეგი წესები ეკლესიის მართვა-გამგეობისა. მისი დადგენილებით ეპარქიაში უნდა იყოს: 1) სამრევლო კრებანი აღრჩეულის სამზრუნველოებით; 2) საოლქო კრებანი და არჩეული მოწესრიგენი სამოწესრიგო საბჭოებითურთ; 3) ეპარქიალური კრება საოლქო კრებიდან აღრჩეულის სამღვდლო და საეკლესიო მსახურთა და ერის კაცთაგან შემდგარი და 4) საეპისკოპოზო საბჭო, ანუ პატარა სინოდი, რომლის წევრებად შეუძლიათ იყვნენ, როგორც ეს არის სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებში, როგორც სასულიერო, ისე საერო პირნიც სავარაქმო კრებისა და ეპისკოპოზის მოწვევით.

სხვა-დასხვა შესანიშნავ დადგენილებათა შორის საჭიროთ მივიჩნით: გვაცნოთ მკითხველთ შეხედულება ამა სამღვდლოების კრებისა ღვთის-მსახურების შემოკლების შესახებ. ღვთის-მსახურებანი ისე უნდა შემოკლდნენ, რომ სიღაზათე და ერთობლიობა არ უნდა დაირღვეს—ამბობენ კრების მამები. ამ კრებას სხვათა შორის ჰქონდა სახეში მლოცველები, ეკლესიაში მოსიარულენი. რადუან ზოგიერთი მუშაკანი—მრევლნი იძულებული ხდებიან 15—20 ვერსი გაიარონ ეკლესიამდი და ისინიან ხოლმე დალილებმა ერთი და იგივე ლოცვების გამოკრება და ძრიელ დიდი სნის კითხვით თავი მომბურდეთ, როდესაც ისინი მოძღვრებას უფრო გულმოდგინეთ ისმენენ, ამისათვის კრებამ საჭიროდ და აუცილებლად დაინახა ისეთი ცვლილებანი და შემოკლებანი მოეხდინა, რომლითაც მეტი კაცის გონების ამამალლებელი ხასიათი მიეცემოდა ღვთის-მსახურებას. მაგალითად აი ეს შემოკლებანი:

ღამის თვეით ლოცვის შესრულების დროს, როდესაც შეერთებულია მწუხრი და ცისკარი, გადწვეტილია ერთი და იგივე მშვიდობიანი, ამათუ იმ ლოცვების დროს წარმოსათქმელნი, მხოლოდ ერთხელ ითქმოდეს. როდესაც წირვაა და მის წინ ცისკრის ლოცვა, მაშინ ეს წირვა და ცისკარი ერთი მგორეს უნდა დაუახლოვდნენ, პრესკომიდია (კვეთა) უნდა შესრულდეს ცისკარში და წირვის დაწყებამდი

წასაკითხი ემნობა უნდა განიტყოს. წირვაში უნდა განტევებულ იქმნეს მრჩობლი მშვიდობიანნი («ესთქვათ ყოველთა») და «კატაკმეველთა» რადენნი კათაკმეველნი ხართ განვედითურთ—ლოცვა კათაკმეველთა უნდა დატოვებულ იქნეს; საჭირო არაა აგრეთვე ასამაღლებელი: «კარნი, კარნი!»—«წმიდაო ღმერთო» უნდა იგალობებოდეს მხოლოდ სამჯერ. უკლებად უნდა იგალობებოდეს «სასუფევლისა შენსა» და ყველა ათი ნეტარებანი. ზოგიერთი საიდუმლო ლოცვები ხმა მაღლა უნდა იკითხებოდეს, რადგან უამისოთ ზოგიერთი ასამაღლებელი მღვდლისა და ერთა გაუფებელია. სიმბოლო სარწმუნოებისა უნდა იკითხებოდეს და არა იგალობებოდეს. სახარება ხალხისაკენ მიმართული უნდა იკითხებოდეს და კითხვის დროს უნდა წყნად იყვნენ. ნათლისღების შესრულების დროს ოთხ ლოცვაში, სამი უნდა განტევებულ იქნეს თავიდან, აგრეთვე არ უნდა იყვნენ შენერწყვა და შებერვა და სხ.

მდ. გ. ხათაძე.



წამილი თბილისიდან.

ვაქებდი ყოველთვის სამხედრო კორრესპონდენტების ვაგედულებას, რომელნიც ომის ველზე იღვინენ და ომის ამბებს გვატყობინებდნენ. მაგრამ გარწმუნებთ, რომ არაფერი ვაგედულება არ ჩაუდენიათ მათ. ჩემი მდგომარეობა უმეტესად საშიშო არის დღეს თბილისში ვინემ ჩვენს სამხედრო კორრესპონდენტებისა იყო ლიაოიანში და პორტარტურში. იქ ერთ ერთ მხარეზე იყავით და მგორე მხარეს რთ ჩავარდნოდი ხელში, როგორც კორრესპონდენტს, არაფერს არ ვაგენბდენ და პატივსაც გცემდენ. მაგრამ თფილისში ყოფა და აქედამ ამბების მოწერო. სწორეთ საშიშოა. აქ არეულია ყველა მიმართულების პირნი ერთად სოციალ-დემოკრატები, მემუციარესენი და მემუარავლესენი¹ სოციალ-რევოლიუციონერები, ფედერალისტები, დაშნაკისტები, ხანჩაკისტები, პატრიოტები, ხულიგანები, რესპუბლიკელები, მონარხისტები, კონსტიტუციონალისტები და ვინ იცის კიდევ რა პარტიების ხალხნი. არ იცო

*) იხ. „Церковная Ведомость“ 1905 წ.



რომელთან გაქვს საქმე და არ იცი ვის როგორ ელაპარაკო. დავაპირე გამოქცევა, მაგრამ რკინის გზის სადგურში არ შემიშვეს, მითხრეს, ბილეთი უნდა გქონდესო. არ იცი ვის გამოართო ბილეთი? ერთმა მითხრა ბილეთი კომენდატს უნდა გამოართვაო, თორემ რკინის-გზით ვერ წახვალაო. მეორემ მიჩნია მისიონერების ეკლესიაში მისვლა. იქ მიდი ფიცს მიიღებ და ბილეთს მოგცემენ და იმ ბილეთის მიღების შემდეგ არა გიშვებს-რაო, ყველგან შეგიშვებენო. ვაპრობდი წასვლას და ერთს კაცს დავეყვირე ამის შესახებ და აი რა მითხრა. თუ გსურს ხულიგანების სიაში ჩაეწერო წაიღო. ხულიგანობა თუ არა გსურს ბილეთის არ მოგცემინო. ხულიგანობა თუ მიიღე მაშინ შეიძლება ხულიგანების წინააღმდეგემა პარტიამ მოგკლასო. გამიქირდა საქმე და დაფრჩი ისევ თფილისში. რაც უნდა დაშემართოს აქაურ ამბავს მოგწერ მკითხველო სანამ სული მეღმბის და ამ უბედურ ქალაქს მოგშორდებოდე. წინეთ მართალია შემეშინდა, მაგრამ დღეს თოფის სროლას და ხალხის ელეთას თვლი შევაჩვიე და ვიწყებ ჩემს წერილს სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა შემიღისათა. დასაბამიღან ქვეყნისა შვიდი ათას ოთხას ცამეტსა წელსა, განხორციელებიღან ბიტყვისა ღვთისა ათას-ცხრასს ხუთსა წელსა 18 დეკემბერსა, ხოლო პიროვნების თავისუფლებისა, ხელ-შეუღლებლობის, ბექღვითი სიტყვის თავისუფლების გამოაცხადებიდან ორი თვის შემდეგ.

ძველად კურთხეულს ქართველებისა და დღეს სომხების ქალაქსა თფილისში და მის მხარებში სამხედრო მდგომარეობის სასტიკი წესები გამოცხადდა. ამ სამხედრო მდგომარეობის წესების გამოცხადებამ სოციალ-დემოკრატების მხრით გაძლიერა გაფიცვა რომლითაც შესწყდა თფილისში ეპრობა და მოძრაობა როგორც ტრამვისა, აგრეთვე ეტლებისა. თფილისში შესწყდა თითქმის ცხოვრება. გამოიღია ბევრს უბნებში პური. ხალხი გავიებული დაიქებდა პურს სასყიდლად. თვითონ ამ სტრიქონების დამწერს დამქირდა ბევრი სიარული და საღლაცა ერთ მიყრუებულ ადგილას ვნახე მეთორნე, რომლისგანაც ძლივს-ძლიობით ვიციღე ნახევარი ფული გამომცხვარი პური. მართებლობამ 17 დეკემბრიდან გამოაცხადა, რომ ვინც ღუქნებს არ გააღებს სავაქროდ 12 საათიდან დაჯარიმდებიან სამი ათასი

მანეთი და ვაქრობის უფლება სრულებით აღეკცა-ლებოა. მეორე და მესამე დღეს მთავრობის განკარგულდებით, ძალით გააღეს ზოგიერთი სავაქრო დღუქნები.

20 დეკემბერს აფიცრების სავაქრო დღუქნებში გოლოვინის ქუჩაზე, დიდი ტეატრის შენობაა პირდაპირ ყუმბარა შეგადეს და იფეთქა. ყუმბარის შემგდები გაიქცა, ვერ დაიჭირეს. დაიჭრა რამდენიმე კაცი, მაგრამ სასიკვდილოდ არც ერთი. ამ მოქმედებამ ყაზახები ძლიერ გააცხარა, მაგრამ თოფების სროლა არ აუტეხიათ იმ დღეს. ამავე დღეს კუკიის ხიდის სიახლოვეს მძიმეთ დასქრეს პოლიციის ბოქოული რუსი პატრიოტადგან რომელიც წაიყვანეს მიხაილის სახლდემყოფოში. ბოქოული მძიმეთ არის დაქრილი. ამავე დღეს მოკლეს ერთი ჟანდარმი და ერთი უზნის მეოვალეურე დასქრეს.

წინა დღით ე. ი. 18 დეკემბერს დამე შემოეხენ ჯარები და სადგურის რკინის ხიდზე დასდგეს ზარბაზნები, გაჩხრიკეს ნაძალადევი. აქ მოკლეს 9 კაცი და სამი მძიმეთ დასქრეს. სახლების გაჩხრიკის დროს რვა ყუმბარა ნახეს და 11 თოფი, რომლებიც წაიღეს და სამოცამდის კაცები დაატყვევეს. მეორე დღეს რვა კაცს გარდა ყველა განათავისუფლეს. ნახალოვკას სალდეთში დაუყენეს ყარაბულად. 21-ს დეკემბერს მთავრობა ძალით აღებინებდა ბევრ ადგილას სავაქრო დღუქნებს, მაგრამ სოციალ-დემოკრატებმა სასტიკი გაფიცვა გამოაცხადა და მთლად შესწყდა ჩვეულებრივი ცხოვრების მიმდინარეობა ქალაქში. ოცდა ერთს დეკემბერს რკინის გზიდან ორი ვაგონი დასცალეს შაქრით სავსე და თითო აბაზან და ორ კაბეკად დაუწყეს გირვანქას ყიდვა. მაგრამ ვაი იმისთანა ყიდვას, თუ მარჯვეთ არ იყავით გვირღებს დაგამტყვევდეს! გახსნეს პურის საწყობები და დაურღეს მეთურნეებს და ხალხსაც. პურის ყიდვა დაიწყო ისევ. სოციალ-დემოკრატებმა ნებადართო 21 დეკემბრიდან სავაქრო დღუქნები გაეღოთ, მაგრამ სავაქრო დღუქნებში მარტო დღუქნის პატრონებს შეეძლოთ ვაქრობა ნოქრების დაუხმარებლად. გაიღო ბევრი დღუქნები და ოცდა-ორს თფილისში ვაქრობა გაჩაღდა. ამდენი ხნის დამწყვედი დღუქნები და მოვაქრენი მოესწრენ თავისუფლად ვაქრობას და სავაქრო აღდგომები გავსილი იყო ხალხით. ყველა ემზადებოდა საღვთისაწაულოდ,



რომ ქრისტეს შობას მიგებებოდა ამდენი სიმწრის მნახველი.

ნაშუადღევს მეორე საათის ნახევარზე ვაისმა გულის შეშუპარავი ხმა გამსკლარი ყუმბარისა სალდათის ბაზარში. ყუმბარა გასკდა ცხენოსანი ყაზახის ქვეშ. ცხენი დაგლიჯა და ყაზახი მსუბუქად დაჭრილი დაეცა ძირს, მაგრამ გადარჩა. დაიჭრენ რამდენიმე პატრები მსუბუქად. ამის შემდეგ შეიქნა ყოველი მხრით თოფების ქაზა-ჭუხი. ხერ ასწერს კაცი იმ უბედურებას და იმ საზარელს ხელის ვაფანტვას, რომელიც აქ მოხდა. მოიტანეს ზარბაზნები და დაუშინეს იმ სახლს საიღამაც ყუმბარა ისროლეს. სახლს ცეცხლი წაეკიდა და იწვის. ეს გრძელი სახლი სალდათის ბაზარშია, ეკუთვნის სომხის სემენარიას. აღმოსავლეთის მხრით რესტორანები არის და დასავლეთით ძველი ტანისამოსების გამყიდველებია. ამ სახლში იყო მოწყობილი სტამბა ექვთიმე ხელაძის. სტამბა და ყოველივე რაც ამ შენობაში იყო განადგურდა და საცოდავი პატრონი ამ სტამბისა ე. ხელაძე ტალახში ამოსვრილი და მრავალ ადგილას ხიშტით დაჩხვლეტილი და ტყვიებით განგმირული მკვდარი მიხაილოვის საავადმყოფოს ეზოში ვნახე სხვა მკვდრებთან ერთად. ოცდაორი მკვდარი არის მიტანილი, რამდენი გღია კიდევ ცეცხლ მოკიდებულ სახლის სარდაფებში ან გარეშე მო - არ იციან. დაჭრილებიც ბევრია, მაგრამ არ ვიცი რიცხვი. რაც სავაჭრო იყო გამოტანილი იარაღაკაში და გარშემო დუქნებში განადგურდა და დაიტაცეს. დაღამდა, ბნელმა მოიკვა ქალაქი. ჯარი ხალხს არ უშვებს გავერანებულ ადგილზე და ან-კი ვინღა გაბედავს აქ მოსვლას. სახლს ცეცხლი უკიდია და შეიძლება სხვა შენობაზედაც გადავიდეს. არ ვიცი მეორე დღე რა უბედურებას მოიტანს.

* *

განვარძლოთ საზარელი ქალაქის ამბები დაწყებული თფილისში 22 დეკემბრის რიცხვიდან. დღეს ოცდა სამს დეკემბერს კომლი კიდევ აღის სალდათის ბაზარში წინა დღეს ცეცხლ მოკიდებულ სახლს. ამ სახლიდან რამდენიმე კაცის დამწვარი გვამები მოიტანეს მიხაილის საავადმყოფოში. ყველა სარდაფები არ არის გაჩხრეკილი და შეიძლება მკვდრები კიდევ აღმოჩნდნენ. გუშინდელ დღეს მიყვანილი ერთი სოფლის გლეხი დაჭრილი აპერაციის შემდეგ გარდაიცვალა. ამ საცოდავს ქათმები და

ინდურები ჩამოეტანა გასაყილად. გაეყიდა და პურის საქმელად შესულიყო ამ გადამწვარ სახლის ერთ დუქანში. ამ დროს მოხდა ეს უბედური უღეტა და ესეც ტყვიით დაიჭრა მუცელში. სამს ადგილს ჰქონდა ვაჭრილი წელები. ამ გლეხი კაცის ნათესავი დედაკაცის ტირილი (ვგონებ ცოლი იყო) ქვას აატრებდა. მთელი დამე დაქებდა საცოდავი ხელაძის ოჯახობა ოჯახის ერთად ერთს პატრონს და მარჩენელს და როცა ნახეს საავადმყოფოში ხიშტებით გულ-განგმირული, ტლახით მოსვრილი და სისხლით შეღებილი გვამი ექვთიმე ხელაძისა თავზარდაცემული რა გუნებაზე დადგებოდა თვითონ თქვენ მიხვდებით მკითხველო... ამ უბედურ წედიწადში თფილისში მომხდარმა ხალხის ქვლტამ ხშირად მოაგონა მოხუცებულებს სპარსების და თათრების ასაოხრებლად შემოსევა ეკლესიების განადგურება და ხალხის უღეტა. დღეს ეკლესიებში უფენებლად არიან, მაგრამ მისთვის, რომ ხალხი აღარ ეკარება მის და კვლევები ვისთვისღა არის საჭირო!..

გათენდა უბედური დღე 24 დეკემბერს. გავრცელდა საზარელი ხმა ვაგონების გაძარცვისა ხული-განებისაგან. დამე დიდუბეში გაუნადგურებით 1 დიდი სახლი, რომელშიდაც ორასიოდე მუშა და კერძო მცხოვრებნი ყოფილან. ამ სახლის ახლოს ორი კაცი შეუპყრიათ, რომელთაც ვითომც სახენთი ყუმბარები უნახეს, მერე რევოლვერი ესროლეს სალდათებს სახლიდან და ამისთვის ეს სახლი იკვლეს. უსვრიათ ზარბაზნები და სახლს ცეცხლი წაკიდებია, მაგრამ გაუქრიათ. მკვდრები და დამწვრები მოიტანეს მიხეილის საავადმყოფოში და, რადგან ოთახები ცარიელი აღარ იყო ფარდულში დალაგეს გვამები, მკვდრები უმეტესად ქართველებია. დანამღვილებით არ იციან რამდენია მკვდრები და დამწვრები. მძიმე დაჭრილებიც მოიყვანეს საავადმყოფოში. მკვდრების ქრილობები გვიმტკიცებს, რომ მეომართ შებრალების გძრობა სრულებით დაკარგული ჰქონებიათ. დარბევა და სავაჭრო დუქნების აკლება სხვაგანაც მომხდარა. ამავე დამეს, მთაწმიდაში ერთი სახლი აუწიოკებიათ იმ მიზეზით, რომ ვითომც ვიღაცას ესროლოს იქიდან ყაზახებისათვის. შესულან სახლში და ამ სახლში ცეცხლი გაჩენილა. ამავე დამეს ერთი-ორი სახლი აკლებულა. ნიკოლოზის ქუჩაზე ერთ მდიდარის სომხის



სახლში შესულან და დამუქრებულან უფრო იმისთვის, რომ ვითომც ამ სახლიდან ვიღაცას რევოლუციური გაესროლოს. ამავე ღამეს გატეხილა ვაგონები და გამოტანილი საქონელი მუქთ ფასად იყიდება.

დღეს შევიტყვეთ, რომ იარმარკაზე ექვთიმე ხელმოქმედან ერთად მოუკლავსთ ყველასაგან ცნობილი გულკეთილი და კეთილი მუშაკი სინოდალური ინსტორაში მოსამსახურე ვასილი ტაბატაძე, არც ერთ მოკლულებში და არც ერთ დაქირებულში არ არის ერთი ისეთი, რომელსაც რაიმე ბრალი ედებოდა ან ყუმბარისა და ან რევოლუციურის სროლაში... დასაჯეთ, ჯვარს აცეთ, დაახრეთ დამნაშავე, მაგრამ შეიბრალეთ უბრალო, უდანაშაურო და მართალი. ამას ითხოვს ყოველი კაცი...

ღამდება უბედური დღე 24 დეკემბრისა. პური აღარ არის. ხალხი დარბის და თითო-ორორ პურს ძლივს ყიდულობს. ექვსი საათიდან გარეთ გამოსვლა საშიშია. მეორე დღისათვის ემზადებიან, მაგრამ ძველებურად კი არა. ზედნიერად ჩასთვლის თავს თუ სადმე ცხვრის ხორცი იყიდა გირვანქა სამ შაუხად და თუ პური იშოვა. ყოველი კაცი შიშით უსურებს ყაზახების სიბიბის თოვთი ხელში. ამ საღამოს გამოვიდნენ უცხო გუნდი ბერდანკებით შეიარაღებული. ესენი მართლა საშიშარი შესახვედნი არიან და ყველა კარგად გრძნობს თუ რა მოხდება შობის დღეს. მაღაზიებიდან და საეკატრო დუქნებიდან საქონელი გადმოაქვსთ სახლებში, ზოგი სულ გაშორდა სახლებს და სადღაც იმაღებთან დამით. შიშის თავზარი აქვს დაცემული ყველას. ღმერთმან ამისთანა შობა გაუთენოს თქვენს მტერს, როგორი შობაც უთენდება თფილისის მცხოვრებლებს. სადღა არის ჩვენებური ალილოს ფილოზა! რა მშვენიერი დღე გაქონდა და რა უბედურების და დამავიღვა! არ გვინდა ბატონო რაღაც კონსტიტუცია არის, ოღონდ ნუ დავგვრავთ ღ ნუ მოგვეკლავთ!.. ამბობდნ სიცოცხლე უნდა მოისპოსო და სწორეთ ისპობა მართლაც! მცხოვრებლებს უნდათ გაშორდეს ქალაქს, მაგრამ გამოსვლა არ შეიძლება. ვაზეთების ბეჭდვა შესწყდა, მაგრამ მთავრობისაგან კი არ გგეონოსთ. არა, ვაზეთების ბეჭდვის მოსპობა ჩვენნი რეფორმატორების საქმეა. დიად, ვაშა ასეთ მათს შორს გამქვრეტელობას. იმ დროს აკრძალეს ვაზეთების ბეჭდვა როცა ასე საქირო იყო მათი ხმის ამოღება...

26 და 27 დეკემბერს ქალაქის გაპირვებული მდგომარეობა თანდათან უარესდება. აღმოჩნდნენ ბევრი დამწვარი იმ სახლში, რომელსაც ზარბაზნებით 22 დღე. ცეცხლი წაეკიდა. დღეს 27-ს სარდაფში მოყოლილ რამოდენიმე პირს წააწყდნენ ნანგრევებში, რომელნიც 22-დგან იქ ყოფილან უქმელ-უსმელნი, საშინლად გაფითრებული ყოფილან, ლაპარაკი აღარ შემძლებიათ და ზოგიც თითქმის კკუ-შეშლილს დამსგავსებია. დამწვართა შესახებ ვერაფერი ცნობები ვერ შეიტყვეს. შეუძლებელია რაიმეს შეტყობა, ისე არიან დასახიჩრებული, სქესსაც კი ვერ გაარჩევს ადამიანი, მხოლოდ ჰასაკის შესახებ შეიძლება მიახლოებითი ცნობის წარმოდგენა.

ყოველ ღამეს ახალ-ახალი დუქნები და ვაგონები იქურდება. მთელი ქალაქი თითქოს მგლოვიარეს დამსგავსებია და დაბინდების შემდეგ მთლად გარინდულია. ირგვლივ ყველგან სიჩუმეა, მხოლოდ ჯარის-კაცთა სიმღერა და მოღებნა ხანდახან არღვეს ამ სიჩუმეს. ეს არის გამარჯვებითა და თანაც არყით გამოწვეული სიამოვნების გრძნობა, რომელმაც დროსა და ადგილის გარჩევა არ იცის...

პურის შოვა თანდათან ძნელდება. ნავთიც შემოაკლდა ქალაქს. ბევრი ერთი სათლის ამარა არის ღამე და მალე ვინ იცის ვგებ ბნელში ჯდომაიც გეარგუნოს ბედმა!

ყოველ დღე ნელ-ნელა მიწას აბარებენ 22 და 23 დეკემბრის გულქვაობისა და შეუბრალებლობის მსხვერპლთ. დღეს 27 მიაბარეს მიწას ვ. ტაბატაძე, რომლის სიკვდალი არც საცოდავმა მამა იმისმა იცის და არც ნათესავეებმა, რადგანაც თბილისი მოწყვეტილია დანარჩენ კუთხეებს. ყველა გარდაცვალებულთ თითქმის ისე მარხავენ, რომ არა თუ სოფლიდან ვერავინ ჩამოდის ქირის-უფალი, არამედ თვითონ თბილისშივე მყოფი ნაცნობიც ვერ ტყბილობენ და ვერ ესწრებიან...

ვინ წარმოიდგენდა, თუ 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ ასეთი ამბები დატრიალდებოდა და პიროვნების ხელშეუხლებლობის გამოცხადების შემდეგ ამისთანა შეუბრალებელ ელექტას შევესწრებოდით?..

27 და 28 დეკემბერს ყველაფერი ისევ ძველებურად დარჩა. მთელი ქალაქი თითქმის მარტო ნავთისა და პურის ძებნაში იყო. ყოველ ფურცელს თან და ნავთის დუქანთან აუარებელი ხალხი საათო-



ბით იდგა და ერთმანეთს გვერდებს ამტვრევდა სავაქროზე მისასვლელად. ზოგიერთ ადგილას თითქმის ნამდვილი ჩხუბიც იმართებოდა.

რკინის გზის უფროსმა გამოაცხადა, რომ 30 დეკემბერს 12 საათზედ ვინც არ დაუბრუნდება თავის სამსახურს იგი გამოირიცხულად ჩაითვლება.

29-ს მუშების წარმომადგენლები მივიდნენ ნამესტნიკთან და განაცხადეს, რომ შეუდგებიან მუშაობას, თუ ზოგიერთი მათი მოთხოვნილება იქნებოდა ასრულებული.

29-ს შუალამისას მუშათა ორგანიზაციამ საყოველთაო გაფიცვა ახსნილად გამოაცხადა. და 30 დღილიდან ქალაქს ჩვეულებრივი ელფერი დატყუა. ყველანი შეუდგნენ სახალწლო სამზადისს. ქუჩები აივსო სავაქროთი და მყიდველებით. მაგრამ ეტყობოდა რომ ჩვეულებრივი სიხალისე აკლდა ყველაფერს. ჯარი აქა-იქ მიინც დაარჯობდა, თუცა ისე ბევრი აღარ, როგორც წინა დღეებში.

30-დგან დაიწყეს ზოგიერთ სახლების და უბნების ჩხრეკა და მრავალი პირიც დაატუსაღეს, მიზეზი ჯერაც გამოურკვეველია. სხვათა შორის დაატუსაღეს „ივერიის“ რედაქტორი ფ. გოგიანიშვილი, ს. ფირცხალავა და სხ.

ასე უბედულად დასრულდა დეკემბრის თვე თფილისელებსათვის. აუარებელი ხალხი გაშორდა ქალაქს შემინებული და მწარე სავონებელში ჩაყარდნლი.

(შემდეგი იქნება).

ბ-ნი ი. გომართელი ჭ მისი ახალი მრწამსი.)*

ამ წლის „ივერიის“ № 130 ბ. ი. გომართელმა გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც იგი ლანძღავს, მიწასთან ასწორებს სამღვდლოებას;—არა, ეს ცო-

*) ჩვენ ეს წერილი მივიღეთ შემდეგის წარწერით ბლ. ს. ჭელიძისაგან: „ეს წერილი დაიწერა 1905 წლის 21 აგვისტოს და გაიგზავნა „ცნობის ფურცელი“-ს რედაქციოში დასასტამბოდ, მაგრამ სხენებულმა რედაქციამ არ დატკამა, არ ვიცო კი რა მოსაზრებისა გამო. ვისთვის ეურნალის „მწყემსი“-ს რედაქციას მოათავსოს თავის ფურნელში ეს სტატია“.

ტყუილად ჰქონებია იმედი მამა ს. ჭელიძეს, რომ საერო ვაზეთები ამისთანა შინაარსის წერილებს დაუბეჭდავენ. ბევრი დარწმუნდა, რომ ჩვენ მწერლობაში თავისუფლება წერისა და აზროვნებისა არ არსებობს... ყველას თავისი სურს სიქვას და სხვის აზროვნებას არ ატყობინებენ სხვას.

რედ.

ტაა; იგი ამბობს რომ სამღვდლოება ხელს უწყობს ქვეყანაზე აჯობების დამყარებას წინააღმდეგ მაცხოვრის ხელმძღვანელს. დარწმუნებული ვარ, რომ ამ წერილის წაკითხვა ააშფოთებდა ყოველს შეგნებულს მღვდელს და გამოიწვევდა საბასუხოლ და შეიძლება ასეც მოხდა, მაგრამ რადგანაც მე მიგარდნილს ქვეყანაში მცხოვრებმა უგზოობისა გამო აღნიშნული წერილიც გვიან წაიკითხე და ჯერჯერობით არც ის ვიცი ვასცა ვინმე სამღვდლოთაგანმა ბ. გომართელს პასუხი თუ არა ამისთვის ზნეობრივი ვილი და თავმოყვარეობაც მიძიულებს მკირე შენიშვნა მიესცე ბ-ნ გომართელს.

როდესაც ვკითხულობდი ბ-ნ გომართლის წერილს, რომელშიაც იგი მიწასთან ასწორებს მთელს სამღვდლოებას მოთმინება დამეკარგა და ცდაის წამებთ ბრას მორეკულმა უწადადების მიმდინარეობა დავკარგე; ვფიქრობდი რა დროს, ან რას სწერს ბ. გომართელი, ან რომელი სამღვდლოება აქვს სახე-შითქო და როდესაც ამოვიკითხე: «სამღვდლოებამ ევროპაში ყველაფერი თავის ხელში ჩაიგდო, ყველაფერი გაბატონდა... შევჩერდი, ცოტა დავმშვიდიდი და ესთქვი ერთი თხისკენ მეორე მგლისკენ ეს კაცი მართალს ამბობს მოვიგონე რა ინოაცი-გენციების და იესუიტების ისტორია; განვგარძე წერილის კითხვა და როდესაც ამოვიკითხე სიტყვები: «ამ გზას ე. ი. ხალხის დამოხობის და ძარცვა-გლეჯისას, აღგია დღეს სამღვდლოება... „ხალხი გამოფხოზლად, თვალეტი გაახილა, დანახა ყოველივე ეს, ვადააღა სამღვდლოებას და ის თავის მტრად გამოაცხადა“... მაშინ კი დავრწმუნდი, რომ ბ-ნ გომართელს ქართველი სამღვდლოება ჰყოლია ნიშანში ამოღებული და შევწყუხდი ასეთ ცილის წამებზე მით უმეტეს, რომ ბ. გომართელი მდაბიო ხალხში პატივდებული პირია როგორც ექიმი.

დღეს-ღლეობით, სიტყვის თავისუფლების მოლოდინში, ყველაფერი შეიძლება სთქვას კაცმა, მაგრამ ქართველი სამღვდლოების ლაძღვა-გინება თუ შეუფრებლობით და უმეტერებით არა არავის არ ეპატივება; მაგრამ ბ-ნ გომართელს როგორც ლიტერატორს და განათლებულს ამას ვერ დავსწამებთ და ვერც გავამართლებთ, და თუ აწინდელს გარემოებაში ასეთს წერილს ბეჭდავს ქართველ სამღვდლოებაზე ეს იმას ნიშნავს რომ ხმას მიჰყვება, უბტკიცებს ქვეყანას რომ იგიც მოწინავე პირია და



მეგობარი ხალხისა. ამა რას ნიშნავს ასეთი ცილის წამება? ყოველი ერის სამღვდელეობაზე ითქმის რამე, მაგრამ ქართველ სამღვდელეობაზე საყვედური, თუ ისტორიულად განვსჯით, უსამართლობა და ცილის წამება იქნება. ქართველი სამღვდელეობა პირველი დღითვე გვერდით უდგა ხალხს, იგი განუშორებელი იყო ქართველის ერისა ქირში თუ ლხინში; ომიანობის დროს, ჯვარით მიუძღვოდა წინ ხალხს, მშვიდობიანობის დროს კი მონასტრებთან დაბარებულ სკოლებში ასწავლიდა და უზრუნველ ხალხს ახალთაობას; ეს ცოტაა, იგი მისდევდა მწიგნობრობას, სთხზავდა და სთარგმნიდა უცხო ენებთან სხვა-და-სხვა სამთაო და საერო წიგნებს და მით ვადახსნეს სიმდიდრე ქართულის ერისა და შექმნეს მდიდარი ლიტერატურა;—იმის დასამტკიცებლად საკმაოა მოვიყვანოთ მთაწმინდელნი და ქუთაისდელნი და მაშინ დაერწმუნდებით რომ ქართველი სამღვდელეობა ნამდვილი მეგობარი და ქიმაგი ყოფილა ქართველ ერისა; თუ სამღვდელეობას არა დღეს ქართველის ხსენებაც კი არ იქნება ქვეყანაზე, მაგრამ უნერგავდა-რა გულში ქრისტეს სარწმუნოებას, რომლის ძალითაც იცავდა ქართველთ თვით-არსებობას გარემოდგომილ უსჯულო და ველურ მტერთაგან და უძღვა რა წინ ყოველ განსაცდელში ქართველმა სამღვდელეობამ არა მცირე ამაგი დასდვა თავის ერს;—ეს ცოტაა, თუ კი ქართველი ერის თვით-არსებობის დაცვა მოითხოვდა სამღვდელეობა მზათ იყო სჯულიც შეეცვალა გარეგნულად მაინც და თუ გულით არა ისე ემსახურნა თავის ერისათვის.

მართალია მეცხრამეტე საუკუნეში გარემოება შეიცვალა; მოისპო პოლიტიკური თვით-არსებობა ქართველის ერისა, ამასთან მოესპო ქართველ სამღვდელეობას საკუთარი მართვა-გამეგობა, მაგრამ ამ მდგომარეობაშიაც კი არ უღალატნია მას თავის ერისათვის. ღარიბი და ლატაკი ნივთიერად იგი სარგებლობდა გარემოებით, ზრდიდა შვილებს სასწავლებელში და ამით მომავალ მოღვაწეებს უზრდიდა ხალხს და მრავალნი მათგანი არიან რომ სღვამიან და დღესაც უდგიან სათავეში ყოველს ხალხის სასარგებლო და ქვეყნის მოსახდენ საქმეს; პროცენტობითაც რომ ვიანგარიშოთ დამტკიცდება, რომ სამღვდლონი უბრალოდ არ ჰყარავდნენ თავიანთ ნაოფლარს და სხვა წოდებასთან შედარებით უფრო

მეტი განათლებული და საზოგადო მოღვაწე უძღვნა თავის მამულს. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ხალხის ანტყავები ფულით ზრდიდა სამღვდელეობა შეიღებოდა, მაგრამ ვინც ნამდვილთ იცნობს ჩვენს სამღვდელეობას იგი დარწმუნდება, რომ ეს შემცდარი აზრია; საშვალბა სად ჰქონდა სამღვდელეობას, ჯერ დღეს, როდესაც სოფლის მღვდლის შემოსავალი სულ ყველაფრითა არ აღემატება ოთხის მანათს და ადრე ხომ სულ არა, მაგრამ სამღვდელეობა ითმენდა ყოველივე გასაქირს, ღარიბულად იმოსებოდა, ისე ღარიბულად, რომ ზოგიერთი დღევანდელი ეთიკეტის მოყვარული ლიბერალი ხელის ჩამორთმევასაც არ იკადრებდა და ჰბარკეტნი პოლზე ხომ სულ არ გაატარებდა დახეულის, ნახევრად დაკერილის წულბით; მორჩებოდა რა მრევლის სამსახურს მწარე ოფლის ღვრიდა თავის მამულში, ხნავდა კიდევ, თოხნიდა კიდევ, ასე რომ მის დაბედებულ ხელის ჩამორთმევასაც კი არ იკადრებდა მისი მღანძღველი; სცხოვრობდა ზომიერად რაც უცილებელი საჭირო იყო არსებობისათვის, „კატლეთებისა და ბულიონისათვის“ არც მასალა ჰქონდა და არც მზარეული ჰყავდა. ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში ზრდიდა სამღვდელეობა შვილებს მამულის საკეთილდღეოთ და სასარგებლოდ და ნუ თუ ყოველივე ამისათვის უნდა გაილანდლოს იგი? ნუ თუ ამისათვის უნდა ეწოდოს მის ქვეყნად ჯოჯოხეთის დამაარსებელი? ნუ თუ არა გესლიანი ენა იტყვის მას, რომ ქართველი სამღვდელეობა ხალხის მტერი იყოს?! არა, ეს ისტორიის არ ცოდნაა, ეს თვით სამღვდელეობის ცხოვრების შეუფერებლობა და დაუკვირვებლობაა, რაც ემართება ხოლმე მრავალს თბილს კაბინეტში მჯდომ თავისუფალ მოაზრეს; ამას თვით ბოკლიც, დიდებული მწერალი ცივილიზაციის ისტორიისა, არ იტყვია ქართველ სამღვდელეობაზე, რადგანაც იგი, როგორც სწავლული ისტორიკოსი და პათიოსანი მკვლევარი, ნამდვილად გაიცნობდა ჩვენს სამღვდელეობას და არა ზერელეთ „მოდერად“ როგორც სწავლიან ზოგიერთი ლიბერალები.

სამღვდელეობის გაშავება ერის თვალში იმოდენად არ გვატყენდა გულს როგორც ბ-ნ გამართლის ახალი „მრწამსი“, რომელიც გამოიხატება შემდეგ სიტყვებში: *ქმე (ე. ი. გამართლის) მრწამსი, რომ მომავალში კაცობრიობა და მასთან ერთად*

ქართველი ერთი მივა იმ შეგნებამდე, რომ ადამიანისათვის ყველაფერი აქ იწყება—დედა-მისის ზურგზე—და აქვე თავდება. ეს კი ახალი აზრია, და არც ახალი! ათეზმი ხომ ენციკლოპედისტების ხელში გიზარდა და მაშ ალაყვარი გამართლო ჩვენო ქართველების დიდრო!! და მართლაც აუცილებელი საქაროც არის, რომ რევოლუციის გარიტყაზე ერთი დიდრო ჩვენც გვეყოლოს!!.

მიუხედავად იმისა რომ თავის წერილში მრავალჯერ ეწინააღმდეგება თავის აზრებს არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ რომ გამართლის ახალი «მრწამსი» დახვეწებულად ითვლება მეცნიერებაში. ფილოსოფია თავიდან ეძებდა მიზეზთა მიზეზს; ზოგი ფილოსოფოსი, როგორც მოესხენება ბ. გამართელს, მიზეზთა მიზეზად სთვლიდა წყალს, ზოგი ცეცხლს, ზოგი ჰაერს, ზოგიც უსულდგმულო და უგრძობელ ნივთიერებას, მაგრამ კაცის გონების მისწრაფებას მაინც ვერ დაუღვევს საზღვარი, რადანაც მიზეზთა მიზეზის გამონახვა, აღმოჩენა იყო საქარო. ამისათვის იყო, რომ სთქვა დეკარტმა „უმიზესოთ არაფერი არ იქნება და საფრანსკან არაფერი არ გამოვა“.

ბევრს ეცადნენ ფილოსოფოსები და რადგან მათი აზრები, როგორც ამბობს ბარათაშვილი, ღვთაებამდე ვერ მიაღწევდნენ და ჰაერშივე განიზნეოდნენ, ამისათვის ყოველგვარ მეტაფიზიკას, როგორც მატერიალისტურს აგრეთვე სპირიტუალისტურს თავი მიანებეს და დამყარდა აზროვნებაში პოზიტიური, რეალური მიმართულება, რომელი მიმართულვბაც უარ-ჰყოფს ყოველნაირს იდეალიზმს. ჩვენც თქვენი ახალი «მრწამსი» ბ-ნო გამართლო იდეალიზმად და აღქიმიკების ბოდეათ მიგვანჩია. ეს რომ შემცდარი აზრია, ვითარცა უღმრთოების მქადაგებელი, თვით ფილოსოფოსებმა დაამტკიცეს თავის ცხოვრებით.—როდესაც ღვთაების უარყოფელმა ვოლტერმა ღრმა მიზეზუტულობამდის მიიღწია, და ვერ ჰპოვა ნუეგემი თავის აზროვნებაში, სასოკვიდნი სარეცელზე მოითხოვა მოძღვარი, სთქვა აღსარებე, მიიღო საიდუმლო ზიმრება და მეტყველმა: „იმ სარწმუნოებაში ვკვდები, რომელშიაც დავიბადეო“ განუტყვეს სული. ნუ-თუ ეს მაგალითი არ ამტკიცებს იმას, რომ ვერაფერი განათლება და ვერავითარი დიდი გონება არ ეთანხმება იმ აზრს რომ „ყოველივე აქ—დედა-მისის ზურგზე—იწყებოდეს და აქვე თავდებოდეს“ როგორც ბრძანებს ბ-ნი

გამართელი? თვით ისეთი მეცნიერნიც კი, რომელთაც უნაკულოდ შესწავლეს ბუნების საიდუმლოება განიტკიცებდნენ წარმოდგენას ღვთაებზე და მხედველი მიუწლომელის გონიერებისა ყოველს არსსა და ქმნილებაში ქუდის მოხდით მხოლოდ წარმოსთქვამდნენ ღვთაების სახელს (მაგ. ნიუტონი) კიდევაც რომ არ იყოს ღვთაებაო, ამბობს ფილოსოფოსი რუსსო, ჩვენ უნდა გამოვსებნოთო, ვინაიდან ისეთი დიდებული ქმნილება უგზო-უკულოდ დაკარგვა, როგორც არის აღმინი შიშსა ჰგერის ჩემს ბუნებასო და აღვაპყრობ ხელს შემოქმედისადმი და ვევედრები მას, არ მისცეს სრულიად მოსპობასა და დავიწყებასა; ან როგორც ამბობს იგი მეორე ადგილას: „მე ვხედავ ღმერთს მის ქმნილებაში, ვგრძნობ მას ჩემში და ჩემს ზევითაც; მაგრამ რაწამს მოვიწოდებ არსებითად მის განხილვას და ვეკითხები: სად არს იგი, რა არს იგი და ან როგორ არს იგი—მიელტვის ჩემგან (убытаеть оть меня) და ამ საიდუმლოზე მოაზროვნე ჩემი გონება ვერ ჰპოებს პასუხს“.

ასეთია ფილოსოფოსების აზრი აწმყუსა და მომავალზე, ხოლო გამართლის ახალი „მრწამსი“ ყოველივე იმედს, ყოველივე ნუგემს, რითაც კაცი ცოცხალა, სპობს და მით ნამდვილ გარყვნილებას ჰბადებს ხალხში.


მეცნიერებაში სშირათ ვხედავთ მოწინააღმდეგე აზრებს; ერთი მეცნიერის აზროვნება დღეს ყველასაგან აქსიომად მიღებული ხვალ თუ ზეგ ყველასაგან უარ-ყოფილია და ასე მიმდინარეობს აზროვნება. სოციოლოგია ცდილობს დაამტკიცოს რომ ბოლოს იქნება ერთი ერთი ენა, რომელი მოძღვრების მიმდევართ დღესაც ვხედავთ; თუ ეს ასეა მაშ რა დემართა გუშინ აქსიომად მიღებულს დარჯინის თეორიას, რომელსაც ეწოდება ბრძოლა არსებობისათვის? თუ ყველა ბოლოს ერთი უნდა ვიქნეთ მაშ რათ ვიბრძვით ეროვნებას და ენისათვის და ასევე ბოლოა რომ ინსტიტუტური და აუცილებელია ამას თვით მარქსისტი ბებელიც კი ემოწმება აღიარებს რა ეროვნული ტერიტორიის შერჩენას და დაცვას.

თუ თავის წერილით გამართელს უნდოდა ეთქვა სამღველოებისათვის, რომ იგი, სამღველოება, დახმარებოდა ხალხს ყოველივე საერთო და საზოგადო საქმეში, რომლის ჩაწერჩულება ქართველ

სამღვდლოებას, როგორც გვაჩვენა ცხოვრებამ არ სჭირდებოდა, არ სჭირდება და არც დასჭირდება, შეეძლო მოკლეთ ეთქვა კეთილშობილურად და არა ლანძღვა გინებთ და ახალის მრწამსის შეთხზვითა და ქადაგებით.

დასასრულ მიემართავ ქართველ სამღვდლოებას და ვსთხოვ გაორმაგებულის ენერგიით დამაქციოს თავისი მოწოდება ღვთისა და ერის წინაშე და მით თვალსაჩინო ჰყოს თავისი პატიოსანი მოქმედება და საქციელი, რომლის უქონლობას მას სწამებენ.

ბლ. მღ. სიმონ ჭვლიძე.



მთელი რუსეთის საზოგადოების საეკლესიო კრების ბაჟო.

კარგი ხანა გამოცხადდა საქვეყნოდ, რომ რუსეთში უნდა მოხდეს სრულიად მთელი რუსეთის საეკლესიო კრება. ამ კრების შემდეგ დიდ ცვლილებას მოვილოთ, ფიქრობენ, რომ ეს კრება ყველაფერს გაასწორებს და რაც დღევანდელ დღეს აშლილი და აპუწულ-დაპუწულია იგი დაამშვიდებს და ყველას სასიამოვნოთ და სასარგებლოდ დააწყობს. ფიქრობენ, რომ მოისპობა დღევანდელი უკანონო საქციელი, მექრთამობა, ძალმომრეობა, შეუპირალელობა და სხვა არა-წმიდა მოქმედებანი, რომელნი იქმნებიან, რასაკვირველია, ეშმაკის ჩაგონებით!..

ამ კრების შესახებ ყველა იძლევა თავის აზრს, თავის შეხედულებას, თავის რჩევას, რომ კრება არ შესცდეს და ყველა მოემზადოს, რომ კრების მოქმედება ყოველის მხრით მოფიქრებული და გამოკვლევული იქნეს ამა თუ იმ საკითხის გამო. სწორეთ შესანიშნავია ზოგიერთი ეპისკოპოსების მოსაზრებანი, რომელნი უკვე დაბეჭდილია ჟურნალ-გაზეთებში.

დღეს მოგვყავს ტურკესტანის მღვდელ-მთავრის პაისის აზრები და შეხედულება მომავალი საეკლესიო რეფორმების მოხდენის გამო. „მე ვფიქრობ, ბრძანებს მღვდელმთავარი, შევიტყობ ამ რეფორმების მოხდენა საქირაო მართლა საქმისათვის დანამდვილებით თუ არა. ჩვენის ფიქრით საქირაო შევიტყობ მართლა ეს რეფორმები მოგვიტანს რამე სარგებ-

ლობას? ჩემს სიკოცხლში არა ერთგზის მოხდენილა სასულიერო სასწავლებლებში რეფორმები, მაგრამ მით სარგებლობის მაგიერ ვნების და სიკულის მეტი არა მოუტანიათ-რა. სასულიერო სასწავლებლებს გარდა არც სხვა საქმეში მოუტანია რეფორმებს სარგებლობა. ამისათვის, მე ვფიქრობ, ვაი თუ სიკეთის მაგიერ ამ მოსალოდნელმა ეკლესიურმა რეფორმამ ცუდი რამე მოიტანოს. ჩემს აზრს მე ძალათ არავის ვავადებ, მე ამ შემთხვევაში მაქვს აზრად სარგებლობა მოუტანო ჩემის აზრის გამოტემით რუსეთის ეკლესიას. ჩემის აზრით საქირაო ყველაზე უმეტესად, რომ ჩვენ გვყავდეს მოძღვრები ნამდვილად ღირსნი თავის მაღალი მსახურებისათვის და ნამდვილი მოძღვრები, რომელნიც უნდა იყვნენ მაგალითნი სამწყსოთათვის სარწმუნოებისა და კეთილ-მსახურებით ცხოვრებაში. მხოლოდ ამისთანა თვისების მღვდელთა ექმნებათ გავლენა სამწყსოზედ და პატრივცემულ იქმნებიან მათგან. თუ იგინი იქმნენ მონაგარნი, ამპარტავანი, უკეთურნი, შურის მიძიებელნი, ზარმაცნი და მემთვარლენი არავითარ რეფორმას არ შეუძლია დახმარება და გასწორება. არც პატრიარხის დანიშვნას, არც ეპისკოპოსების რიცხვის გამარავლებას და არც კარგი ჯამაგირების დანიშვნას შეუძლიათ სარგებლობის მოტანა საქმისათვის“.

პოლონეთში ჩვენი მღვდლები დიდ ჯამაგირებს იღებენ და ნივთიერ ნაკულევენებას არაფერში არ გრძობენ, მაგრამ მით არა თუ გავლენა არ ჰქონდათ თავიანთ სამწყსოზე—მათი სიყვარულიც კი ვერ დაიმსახურეს, სრულებით მოზებრდენ იგინი ჭ ფრანგთა სარწმუნოება მიიღეს. რა უნდა იღონოს მთავრობამ, რომ მღვდლებმა გავლენა მოიპოვეთ სამწყსოზე და სარგებლობა მოუტანონ ეკლესიას და სახელმწიფოს? ამისათვის საქირაო რომ შეიცვალოს ეხლანდელი სამღვდლო პირთაგან სწავლა-განათლების მიღების საქმე და აღზრდისა. დიდი ხნიდან უნდა დაგვენებებია თავი ორი ყურდლონი დაქვიანს ერთად, რომ ორივე არ წავგსლოდა. დიდი ხნიდან უნდა დაგვეტრავებია მოსწავლეების ტანჯავწავლება ძველი ენებით, რომელიც გამდვიოდეთ საერო სასწავლებლებისაგან და, რომელნიც ამ სასწავლებლებმა დიდი ხანია იცვენს მათი სწავლება უვარგისად. რამდენი დრო იკარგება ლათინური და ბერძნული ენების სწავლებით, და განსაკუთრებით

ლათინური ენის სწავლებით არავითარ სარგებლობას არ იღებს მღვდელი. ამტკიცებენ, რომ ამ ენების სწავლება გონებას უხსნის მოსწავლესაო, მაგრამ დამტკიცდა უკვე, რომ ეს შეცდომაა. სხვა საგნებში სემინარიიდან უნდა გამოირიცხოს ისტორია ფილოსოფიისა, ალგებრა და გეომეტრია, ბიბლიის ისტორიაც და პატროლოგიაც, რადგან ბიბლიის ისტორიის ოთხ-კლასიან სასწავლებელში გადლიან. ეკლესიის წმიდა მამთა შესწავლას უნდა გადაიღოს მოწაფეები ღვთისმეტყველების სწავლასთან, საეკლესიო ისტორიასა და გომილეტიკასთან ერთად. გარნა ყველაზე მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საღმრთო წერილის შესწავლას, განსაკუთრებით ახალი აღთქმისას. აქ საჭიროდ მიიჩნევა ესაუბროს, რომ საღმრთო წერილის შესწავლის დროს საჭირო არ არის მოიყვანონ სხვა და სხვა ავტორიტეტებთა განმარტებანი, ვინაიდან ეს განმარტებანი ხშირად უფრო აბნელებენ ქეშმარიტს აზრს და ამასთან სახელი და პატივისცემა მკირდება განმამარტებელთა. ამის შემდეგ საჭიროა შესწავლა ვრცლად საეკლესიო ისტორიისა და ვარჯიშობა ქადაგების წარმოთქმაში. ზეპირად სიტყვის წარმოთქმას უნდა შეეჩვიონ მოწაფენი და უნდა შეიყვარონ იგი როგორც მათთვის ყოველ შემთხვევაში საჭირო...

გარნა სამღვდლო პირთათვის ჩვენის აზრით უფრო საჭიროა გონებით განვითარებაზე ზნეობითი აღზრდა. არავითარ განათლებას არ შეუძლია მოსპოს ცული ყოფაქცევა კაცში და განსაკუთრებით ეკლესიის მოძღვარში, ამისათვის უნდა ეცადონ, რომ სასწავლებლებში აღიზარდონ ნამდვილნი და ქეშმარიტნი სამოძღვრო პირნი სრულებით მომზადებულნი, რომ აგინი შეიქმნენ მაგალითნი ქრისტიანული ცხოვრებისა სამწყსოთათვის. ამისათვის კი საჭიროა რომ მოსწავლეთა ნიადაგ მოაგონონ მომავალი თანამდებობის სამსახურის სიდიდე და სიძნელე, და ის რომ მათგან არ შეიძლება მოითმინონ ბიწიერება, განსაკუთრებით სიცრუე, გულგრილობა, მატყუარობა, ჯავრის ამოყრა, ვეცხლის-მოყვარეობა და მთვრალობა, რომელიც ამდებლებს არა თუ მოძღვარს, არამედ ყოველ ქრისტიანეს. გაუსწორებელნი ყოფაქცევით მოწაფენი უთუოდ უნდა იყვნენ დათხოვნილნი, არა მიხედველი იმისა, რომ სწავლით უკეთესნიც იყვნენ. მაგრამ,

ვინაიდან აღზრდის სიქმე ფრიად საძნელაა, რომელიც ითხოვს უფროსისაგან ქეშმარიტ ქრისტიანულ სიყვარულს (რაც დამტკიცა თვით უზენაესმა მოძღვართა უმფროსმა, მოუწოდა რა პეტრეს შემდეგ უარ-ყოფისა მოციქულების მსახურებისთვის) კეთილ აზროვნობას, გამოცდილებას და სრულს ცოდნას თავის საგნისას; ამისათვის დიდის სიფრთხილით უნდა ირჩეოდენ და ინიშნებოდენ სასულიერო სასწავლებელთა უმფროსები. ჩემს დროში არსებობს მეტის-მეტად უმართლო და საწყენი ზოგიერთი დამსახურებულ და გამოცდილ მასწავლებელთა თვის ჩვეულება სასწავლებლის უმფროსებად ახალგაზრდა, გამოუცდელ და დაუმსახურებელ ბერებთა დანიშვნა, რომელთაც არავითარ არ დაუმტკიცებიათ თავისი ნიჭი სასწავლებლის მართვა-გამგეობაში.

როგორც სარგებლობა სასულიერო სასწავლებელთა ისე სიმართლე ითხოვს, რომ სრულებით აიკეთოს ჩვეულება ახალგაზრდა ბერების სასწავლებლებში უმფროსებად დანიშვნისა, ვიდრემდის იგინი არ იქმნებიან მიჩვეულნი მოთმინებისა და მორჩილების მონასტრებში ან სხვა ადგილებში მდებარე თანამდებობაზე.*) ნუ თუ არ არიან გამოცდილნი მასწავლებელნი და მღვდლები, რომელთაც შეიძლონ სასიკეთოდ მსახურება სემინარიებში? ამაზე შეიძლება გვითხრან: ვინ აკურთხონ ეპისკოპოსებად? ამაზე აი რას ვიტყვი: ვანა სამღვდლოებაში არ მოიძებნებიან საეპისკოპოსო პირები, რომელთაც არავითარ ყურადღებას არ აქცევენ, მხოლოდ მიტომ, რომ იგინი ბერად არ ყოფილან.

მე ვიცი რომ წმიდა მოციქულმა პავლემ ეპისკოპოსად დაადგინა ეფესოში ახალგაზრდა თავისი მოწაფე ტიმოთე. ვიცი, რომ მღვდელ-მოწაფე კლიმენტ ანკირელი და სხვა წმიდა ეპისკოპოსები იყვნენ ახალგაზრდანი, მაგრამ ამით ვანა ვავიშარტლებთ თავს იმ წესის შემოღებაში, რომ გამოუკვლევად და განუჩრეველად აკურთხებენ ხოლმე ეპისკოპოსებად ახალგაზრდა ბერებს, განსაკუთრებით ჩვენ დროში.

*) რამდენად ბედნიერი იქნებოდა თფილისის და ქუთაისის სემინარიები. რომ ამ სემინარიებში ახალგაზრდა ბერები არ ყოფილიყვნენ დანიშნული რექტორებად. აქ რექტორები სემინარიის სიკეთეზე კი არ მაცანიზობდენ, დღე და ღამე იმას ფიქრობდენ როგორიმე გზით ეპისკოპოსობა მიეღოთ. ამისათვის იგინი არაფერს არ ერიდებოდენ, არც ბუნტის გამოცხადებას და არც სემინარიის დახურვას...



წ ე ს მ ბ ი

როცა კაცს შეუძლია დამსახუროს სხვათაგან პატივი და თვითონაც გავლენა იქონიოს მხოლოდ დამტკიცებულის კეთილმსახურებით ცხოვრებით და არა ხარისხით? მე თვითონ ვარ მხოლოდელი და მოწამე ასეთი შემთხვევისა. მცირე შესვლაზე დაესწრო მღვდელთმრავრის წირვაზე მამა იოანე კრონშტადელი, ევისკოპოს არაგინ აქცედა ყურადღებას და იოანე კრონშტატელის ხელს კი მივარდებოდენ ხოლმე სამთხვევად.*)

ვიზოვეთ განათლებული და კეთილად აღზრდილი სამღვდელი კანდიდატები. რიგია, რომ იგინი საზრდოთი უზრუნველ-ვყოთ, მაგრამ როგორ? კარგი იყო რომ ჩვენში მღვდლებს ცალგები არ ყოლებოდა. რამდენიც უნდა დაუნერწოთ ჩვენს სამღვდლოებას მაინც არ ეყოფა მათ იმდენი ხარჯი მოსდით მათ შეიღების გამოზრდაზე. ხაზინას სად ექმნება იმდენი მისცეს რამდენიც მათ სჭირდებოთ. მეტი ღონე არ არის ჯამაგირის გარდა მღვდელთმკმედების ასრულებისათვის დაენიშნოს მრველის თანხმობით და წინდაწინვე შეთანხმებით, რომ ბოლოს უყმაყოფილება არ ჩამოვარდეს მათ-შორის. შეიღების გამოსწრდელად ჩემის აზრით საჭიროა ვისარგებლოთ ზოგიერთი მეტი მონასტრების ადგილებით, რომელიც დარჩება თუ მონასტრების რიცხვს შევამკირებთ. მოსალოდნელია, რომ სახელმწიფო ბოლოსაც არის მოითხოვს ამდენ ადგილებს სახელმწიფოს საჭიროებისათვის და რად უნდა დავკარგოთ ეს ადგილები შემდგეში?

*) 1893 წელში 30 აგვისტოს დაესწარი ალექსანდრე ნეველის ლავრაში მიტროპოლიტის პალატის წირვაზე. მე და იოანე კრონშტატელი ერთად ვიდგეით ტრაპეზში მარცნივ, მარჯვნივ მთავარ-ეპისკოპოსები იდგნენ. წირვის დროს მართლა ერთი არაგინ მისულა ეპისკოპოსებთან, მაგრამ იოანესთან კი ასაბლდ მოვიდენ, დიდის სილმეით იოანე კრონშტატელს და ხელზე ემბორებოდნენ. ერთად ვიყავით სადიღზე მიწვეული მიტროპოლიტისაგან. მე ძლიერ ვაკვირდებოდი როგორც წინეთ ისე ამ დროს ხალხის პატივისცემას, რომელსაც საზოგადოდ ყველა აღმოუჩენდა სილმეით იოანე კრონშტატელს. მაგრამ მე არ მომეწონა საზოგადოდ ხალხის საქციელი. უკანასკნელ დროს საშიშო შეიქმნა იოანე კრონშტატელისათვის გამოსლა საზოგადოებაში. იყო შემთხვევა, რომ ბრბო მივარდა, ყველას უნდაოდ ხელზე მოხვევა და შეხება და მისეულმა ხალხმა წააქცია და კინაღამ არ გათლა ფეხებით. დღეს უფარაულოდ იგი ვეღარ ვამოძის საზოგადოებაში. არ ვიცი ესეთი საქციელი რას უნდა მიაწეროს კაცმა?

სახელმწიფო სათათბიროს წევრთა არჩევნების მოხდენისა კავკასიაში.

1. კავკასიის გუბერნიებსა და ოლქებში წევრების არჩევა სახელმწიფო სათათბიროში უნდა მოხდეს იმ საერთო წესებით, რომელიც უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა 1905 წ. 6 აგვისტოს დებულებით სახელმწიფო სათათბიროში, 1905 წ. 18 სექტემბერს დამტკიცებულ წესით სახელმწიფო სათათბიროს დაარსებისა და არჩევნების შესახებ და 1905 წ. 11 დეკემბერს გამოცემულ ბრძანებისა უმართებლეს სენატისადმი შემოხსენებულ დებულების შეცვლის შესახებ, შემდგვის ცვლილებით:

2. რაოდენობა კავკასიის გუბერნიიდან, ოლქებიდან და ქალაქებიდან სახელმწიფო სათათბიროში გასაგზავნ წევრებისა, საერთო რიცხვი ამომრჩეველებისა თითო გუბერნიაში და ოლქში და მათი განაწილება მაზრებში, ოლქებში, განყოფილებებში და კრებებში აღნიშნულია ამ წესების დამატების სიებში.

3. არჩევნების მოხდენაში ზაქათალის ოლქი უერთდება დაღესტნის ოლქს და მასთან ერთად-ერთ საარჩევნო ოლქს შეადგენს. შავი ზღვის გუბერნია უერთდება ყუბანის ოლქს და მასთან ერთად შეადგენს ერთ საარჩევნო ოლქს. სოხუმისა და ბათუმის ოლქებიც შეადგენენ ერთ საარჩევნო ოლქს.

4. თვითეულ მაზრასა, ოლქსა ან განყოფილებაში უნდა შესდგეს სამი საარჩევნო კრება: ა) მემამულეთა კრება, ბ) ქალაქების ამომრჩეველთა კრება და გ) კრება საყოველთაო ყრილობისა და სამამასახლისოების რწმუნებულებისა. შემოხსენებულ სამ კრების გარდა ყუბანის ოლქში და თერჯის ოლქის იმ ნაწილებში, სადაც ყაზახთა სტანიცები არიან, უნდა დაარსდეს განსაკუთრებული კრება ყაზახთა წარმომადგენლებისა.

5. თერჯისა და ყუბანის ოლქებში და შავი-ზღვის გუბერნიაში უნდა შესდგეს ორი საოლქო საარჩევნო კრება: ერთი—ყაზახთა სტანიცების რწმუნებულებისაგან, მეორე—დანარჩენ კრებების ამომრჩეველებისაგან (მუხ. 4). თითო ასეთი კრება ირჩევს იმდენს წევრს სახელმწიფო სათათბიროში, რამდენიც აღნიშნულია ქვემო-დმოყვანილ სიის მეორე მუხლში.

6. არჩენვევის მოსახდენად, თუ საქირო იქმნება, კავკასიის ნამესტნიკის ნება ეძლევა ერთ და იმავე გუბერნიაში ან ოლქში: ა) შეაერთოს ცალკე მაზრები ან განყოფილებანი და დანიშნოს შეერთებული საარჩენო კრებები; ბ) ამათუ იმ მაზრაში ან განყოფილებაში შემამულეთა კრება შეუერთოს ქალაქების ამომრჩეველთა კრებას, ან ქალაქების ამომრჩეველთა კრება შეუერთოს შემამულეთა კრებას და გ) ამ მაზრაში, ოლქისა და განყოფილების რწმუნებულნი შეუერთოს მეორე მაზრის ან ოლქის რწმუნებულთა შესაფერ კრებას.

7. ამომრჩეველნი მუშების მხრით, რაიც მოხსენებულთა 11 დეკემბრის 1905 წლის უმაღლეს ბრძანების მეხუთე მუხლში, უნდა არჩეულ იქმნენ საზოგადო წესებით. ქვემო დასახელებულ ქალაქებს და გუბერნიებში მუშები ირჩევენ: ბაქოს გუბერნიაში და ბაქოში 4 ამომრჩეველს, ბათუმის ოლქში—1, ქ. ტფილისი და ტფილისის გუბერნია—2 და ყუბანის ოლქი და შავი ზღვის გუბერნია ერთად—2.

8. ტფილისისა და ბაქოს გუბერნიებში მუშათა ამომრჩევლების საერთო რიცხვი უნდა განაწილდეს შემოხსენებულ გუბერნიებსა და ქალაქებს შორის საგუბერნო საარჩენო კომისიის მიერ იმისდა მიხედვით, თუ რამდენი მუშაა საქარხნო-საფაბრიკო, სამთო და სამთო-საქარხნო დაწესებულებებში, ან რკინის გზების სახელოსნოებში, რომელიც ან ქალაქში, ან გუბერნიაში იმყოფებიან.

9. იმ მაზრებისა, ოლქებისა და განყოფილებების რწმუნებულთა კრება, რომელთა სამმართველო ქალაქებში არ იმყოფება, უნდა დანიშნოს იმ ადგილზე, სადაც გუბერნატორი ან ოლქის უფროსი უჩენებს.

10. შემამულეთა საარჩენო კრებაში პირდაპირს მონაწილეობას იღებენ: ა) ამიერ-კავკასიის გუბერნიებსა და ოლქებში ისინი, ვინც მამულზე ან სხვა რაიმე საკუთრებაზე (გარდა იმათი, ვინც მოხსენებულთა სახელმწიფო სათათბიროში საარჩენო დებულების (გ) მე-16 მუხ.) წელიწადში იხდინ არა ნაკლებ 15 მანეთისა საერობო გადასახადს; თერგისა და ყუბანის ოლქებში—ისინი, ვინც წელიწადში იხდინ არა ნაკლებ 3 მანეთისა და 30 კაბ. სახელმწიფო სამამულო გადასახადს; ბ) ის მოურავები, რომელიც ერთი წლის განმავლობაში ხელწერილისა და ან მიწობლების ქალაქის ძალით განაგებენ

ისეთ მამულს (ამიერ-კავკასიაში), რომელიც წელიწადში იხდის არა ნაკლებ 15 მან. საერობო გადასახადს; ყუბანისა და თერგის ოლქებში კი ისეთ მამულს, რომელიც წელიწადში იხდის არა ნაკლებ 3 მან. და 30 კაბ. სამამულო გადასახადს, და გ) ის პირნი, რომელთაც ხელწერილით იჯარით აქვთ აღებული ისეთი მამული, რომელიც შემოხსენებულ გადასახადზე ნაკლებს არ იხდის წელიწადში.

11. ისინი, ვინც წელიწადში თავიანთ მამულზე, რომელიც იმყოფება მაზრაში ან ოლქში, იხდინ შემოხსენებულ გადასახადზე ნაკლებს, არჩენებში მონაწილეობას იღებენ მინდობილებით. მაგრამ თუ ისინი ქალაქის ამომრჩეველთა კრებას შეუერთდნენ, მაშინ მათ ნება ეძლევათ არჩენებში პირდაპირი მონაწილეობა მიიღონ.

12. არჩენების მოსახდენად ქალაქებს უერთდებიან შემდეგი დაბები: ათონი (ბათუმის ოლქში), ზუგდიდი და რედუტ-კალე ქუთაისის გუბ.), ყაზიმანი, არდავანი და ოლთა (ყარსის ოლქში).

13. სამამასახლისოების სასოფლო ყრილობების მხრით რწმუნებულთა ასარჩევად კავკასიის (გარდა ბათუმისა და ყარსის ოლქებისა) სოფლები, კოლონიები და აულები უნდა შეერთდნენ იმ წესით, რომელიც შედგენილ იქმნება საგუბერნო და საოლქო ადმინისტრაციის მიერ და დამტკიცებულ იქმნება ნამესტნიკის მიერ. ნამესტნიკის ბრძანებით შეიძლება ასეთივე წესით შეერთდნენ ყაზახთა პატარა სოფლები.

(გაგრძელება იქნება).



სკულიად რუსეთის გლმთა კავშირი.

სამხრეთის რაიონი.

გლეხთა კავშირმა თავის ბაზრადზე აღნიშნა მსრტორი სიტუაცია: «მაწა და თავისუფლება». მნიშვნელობა როგორც ერთისა, ისე მეორისა ისე შეგნაიერად აქვს შეგნებული გლეხ კაცს, რომ თვით შეგნებულ გლეხისათვის ამის შესჯანებად მეტად სოფელში მონაწილანდა. მიწა უნდა იმიტომ, რომ შიან, ხოლო თავისუფლება იმიტომ, რომ უამისოდ ცხოვრება შეუძლებელია. «მაწა, როგორც ჭყერი და წყაღი, დღეთისა, გაძახის ესდა მთელ რუსეთში გლეხი კაცი; ამიტომ არავის საკუთრებას არ



უნდა შეადგენდეს, ამით უნდა ისარგებლოს მხოლოდ მან, ვინც ამუშავებს თავის საკუთარ ხელთ და არა დაქირავებულ ძალითა. ამ მიწის მოსახლეობლად სპინელ სისწრაფით ერთდება დადაკავშირად რუსეთის გლეხობას.

ამ კავშირის სამხრეთის რაიონის ბიურომ სულ ორი თვეა რაც მუშაობს დაიწყო და, მიუხედავად სულ მცირე ბროზანდისა, უკვე შეაერთა უმეტესი ნაწილი მინა გუბერნიის (ხერსონის, ტარადის და ბესარაბიის) გლეხ-კაცობისა. საკმაო იყო სხდმე, ორმოც-სამოცის ვერსის მანდილზედ, გაჩნდილიყო ვინმე მთავრე გლეხთა კავშირზედ რომ დაძრულიყო სოფლები და ოდესას მისწვდილიყო, სხადე უმთავრესი ბიუროს გლეხთა კავშირის სამხრეთის რაიონისა.

გლეხთა კავშირმა დაინტერესა არა მარტო ნამდვილი მიხედ-მოთხველი გლეხები, არამედ ქადაქის და ქარხნის მუშებიც. ესენი სშირად ჰპარგავდნენ სოფლმე სამუშაო დღეს და მიდიდნენ ბიუროში, რათა დაწვრილებით გაეკოთ კავშირის საქმეები და შეეტეობინებინათ თავიანთ სოფლებში. ესლან კი, როდესაც ოდესშია სამხედრო წესი. ბი მიკინავრებს, ვოგელ-დღე მრავალი გლეხ-კაცი იურის თავს ბიუროში. დღე-მუდამ მოდიან და მოდიან დადგენილებანი სხვა და სხვა სოფლებს და ვოლოსტრაიდან, ვურთდებით გლეხთა კავშირსა. იმ სოფლებში, სხადე მომუშაობენ გლეხთა კავშირის წევრებად ითვლებიან, მიდიან და ხელმძღვანელობენ შემდეგის ორგანიზაციით:

1. წევრად გლეხთა კავშირის ორგანიზაციის უკვლავ, განურჩევლად სქესისა, 20 წელიდან.

2. უოგელი წევრი თვითონ ინიშნავს, შედლებიან-მებრ, რადენობას განსახადისა სკერთო საქმის განადლოდა.

3. უოგელი საქმე სოფელში სწვდება სკერთო გრებით.

4. გადაწყვეტილებების აღმასრულებლად სოფელი სკერთო, ზირდაზირ, თანაწირ და ფარულ კენჭის ერთი ირჩევს 3—5 კაცს, რომელნიც შეადგენენ სსსოფლო კომიტეტს.

წევრთავს ერთს უვალება სსსოფლო ბიბლიოთეკასე ზრუნვა, მერეს აბრია სსსოფლო ხაზინა და დაფორები შემოსავალ-გასვლისა, ხლო მთლად კომიტეტს—თვალურის დღეებთა სოფლის ცხოვრებაზე და დადგენილებათა შესრულება.

5. მამასხლდის ან უფროსი კომიტეტში ეკითხება უოგელ საქმეში სსსოფლო კომიტეტს, უამისოდ არა აქვსთ ნება გააკეთოს რამე.

როდესაც რამდენიმე მეზობელი სოფელი უკვე შეურთდება სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირს, მაშინ ეწეობს ორგანიზაცია ვოლოსტრის (სამამასხლდისის).

1. ვოლოსტრის ორგანიზაციის სათავეში სდგას ვოლოსტრის კომიტეტი; კომიტეტისთვის უოგელი სოფელი ირჩევს ერთ ან ორ წევრს ოთხ ფორმულიან არჩევნებით.

2. უმთავრესი საგანი ვოლოსტრის კომიტეტისა ის არის, შემოაერთოს სოფლები, თუ ამ დროს თავისი, ე. ი. ვოლოსტრის კომიტეტის მოქმედებად, არ შემოაერთებან.

3. როდესაც ვოლოსტრის სოფლები უმრავლესობა შეურთდება კავშირს, ვოლოსტრის კომიტეტი იწვევს ვოლოსტრის დამფუძნებელ გრებს, რომელზედც სწვდება რტორ უნდა მოქწოთ ვოლოსტრის დსოფლებების უთავცნობება.

4. ამ დადგენილებათა აღსრულება სისრულეში მოჭევს ვოლოსტრის კომიტეტს.

5. უოგელი ურთიერთობა და მიწერ-მიწერს სამაზრო და მისმარებელ ბიუროსთან აქვს ვოლოსტრის კომიტეტს. იგი უოგელ ცნობას, აქლან მიდებულს, აგრცვლებს სსსოფლო კომიტეტებში.

6. უმთავრესი და უმარველები მოვალება ვოლოსტრის კომიტეტისა არის გამორჩევა მიწის საკითხისა საკუთარ ვოლოსტრებში: რადენობას ნადელისა, ნაუადისა და სბატრინი მიწის; უნდა გამოაკვლიოს აგრეთვე ის, თუ რამდენი მიწა სჭირდება ვოლოსტრს.

7. ვოლოსტრის კომიტეტის ერთ წევრს უვალება ბიბლიოთეკის გამკება, ხლო მერეს ხაზინადრობას.

ა) ვოლოსტრის ბიბლიოთეკარს საქმე აქვს მახრის დამხმარებელ ბიუროსთან, რომლისაგანც მოსდის წიგნები სსსოფლო ბიბლიოთეკაში განაგრცვდება.

ბ) ვოლოსტრის ხაზინადარი იღებს ვოლოსტრის ხაზინადრებისაგან იმ ნაწილს საწევრო გადასახადებისა, რომელიც უნდა გაეკავანოს სოფლის კომიტეტებიდან სოფლოსტრო, სამაზრო, საგუბერნიაო კომიტეტებს. უოგელ შესავალ-გასვლის აღსანიშნავად არის დაფორები;

8. ვოლოსტრის სტაროსტა და მწერალი უოგელ საქმეში ეკითხუან ვოლოსტრის კომიტეტს, ურთმდისოდც ვერც ერთს ნაბიჯს ვერ გადასცდამენ.

ვოლოსტრს მოსდეს სამაზრო ორგანიზაცია, ამისთვის ვოლოსტრების თვითუფლი კომიტეტი ირჩევს 1 ან 2 წევრს 4 ფორმულიან არჩევნებით.

მაზროს კომიტეტი უნდა ეცადოს შემოაერთოს უკვლავ ვოლოსტრს და სოფელი თავისი მახრისა. იგი გა-



ნაკებს მთელ მასრის საქმეს და საქმე აქვს სკუბენიო კომიტეტთან.

მასრის კომიტეტები ამ რვადგე ირჩევენ კომიტეტს, რომელიც განაკებს მთელს გუბერნიის საქმეებს. სთავაშვი კი სდგას მთავარი კომიტეტი, რომელსაც სკუბენიო კომიტეტები და დამსმარებელ კომიტეტის წევრნი ირჩევენ.

სამსრეთის რაიონს დიდი დანახება გაუწიეს სოფლის ინტელიგენტებმა: ექიმებმა, მასწავლებლებმა და, თუმცა ძალიან ნაკლებ, მღვდლებმაც-კი. („ცნ. ფურც“).

თვალ-უური აღვნეთ, რომ ზოლიციას და სხვა უწყებათა მხელეებმა გაუღეს არ იქონიან ამომრჩეველებზე, განსაკუთრებით გლეხებზე. მხელეებმა მხოლოდ იმას უნდა უგდონ უური, რომ „გარეშე ზირები“, ე. ი. ვინც არჩევენში არ იღებს მონაწილეობას, არ ჩაერთან და ხელი არ შეუშალონ არჩევებს.

ახალი ამბები და შენიშვნები.

შეაღლასი განიფესტი.

წყალობითა ღვთისათა ჩვენ, ნიკოლოზ მე-11, იმპერატორი და თხითოვაროვანი სრულიად რუსეთისა, მშვეპოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა, და სხვა, და სხვა, და სხვა, ვუცხადებთ ყველა ჩვენს ერთგულ ქვეშევრდომთ:

1905 წ. 6 აგვისტოს მანიფესტით ჩვენ გამოვაცხადეთ სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა, და იმავე რიცხვს დავამტკიცეთ დებულება ამ სათათბიროს დაარსების შესახებ. გასულ წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით ჩვენ ახალი უფლებანი მივანიჭეთ სახელმწიფო სათათბიროს საკანონმდებლო საქმეში. ამისთანავე ჩვენსმიერ მოწონებულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს გადაკეთების პროექტი, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს მცხოვრებთა მიერ ამორჩეულ წევრების მონაწილეობა. ამგვარ განზრახვათა შესასრულებლად ბრძანება გავცეთ შემუშავებულ იქნას სახელმწიფო საბჭოს საჭირო ცვლილებები და აგრეთვე ხელ-ახლა იქნას გადაინჯული სახელმწიფო სათათბიროს დებულება, რათა იგი შეუთანხმდეს 17 ოქტომბრის მანიფესტში აღნიშნულ პრინციპებს. ამ თამად ეს შრომა უკვე დასრულებულია. სახელმწიფო საბჭოში სამონაწილოდ მოწოდებულთა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიის სამღვდლოებისა, თავად-აზნაურობისა, ერობათა, მეცნიერებისა, ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენელნი, რომელთა რიცხვიც ერთად იქნება იმდენი, რამდენიც ჩემ მიერ დანიშნულ წევრებისა. ამნაირად გადაკეთებულ სახელმწიფო საბჭოს კანონების გამოცემის საქმეში ეძლევა ისეთივე უფლებები, როორც სახელმწიფო სათათბიროსა აქვს. ვტოვებთ-რა ხელუხლებლად სახელმწიფო კანონების ძირითად

ცირკულიარები არჩევნების შესახებ.

ზირეელს ცირკულიარში კავკასიის ნამესტნიკი წინადადებას აძლევს გუბერნატორებს და ოლქის უფროსებს დაუყოვნებლივ გამოაქვეყნონ ეველა კანონები და განკარგულებანი სათათბიროს წევრების და ამომრჩეველების შესახებ, აგრეთვე მოახდინონ ეველა განკარგულებანი არჩევნების მომზადებისათვის. უზირეელსად ეფილის განკარგულება სასრევენო სიების დამზადების შესახებ ეველა ეს განკარგულება მოხდებოდ უნდა იქმნას და მზადებას უნდა შეუდგენ 25 თებერვლიდან. ამ დღიდან 24 მარტამდე უნდა წარმოადგინონ ეველა მსურველებმა განცხადებანი არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესახებ.

სასრევენო წესების მე-6 მუხლის ძალით, ქალაქის ამომრჩეველები ღებნუშის, რაჭის და შორაზნის მასრებში უნდა შეუერთდნენ შემუშავებულ სასრევენო კრებებს. სენაკის მასრის და ქალაქის ფოთის ამომრჩეველები ერთ კრებას შეადგენენ ქალაქ ფოთში.

დაუყოვნებლივ უნდა შესდგეს ეფიველ გუბერნიასა, მასრას და ოლქში სასრევენო საქმეთა კომისიები.

გუშინ დაბეჭდილ ცირკულიარში ნამესტნიკი ავადებს გუბერნატორებს, ეფიველი დონე იდონონ და დაანჭრონ სიების შედგენა. რუსეთში მზადდება წინასწარი, ძირითადი და დამატებითი სიები; ჩვენში კი, რადგან დრო ცოტაა, უნდა შესდგეს მხოლოდ ერთი, ძირითადი სიები, რომელსაც მატქეველი იქნება ეველა ვაისც ნ აგვისტოს და 11 დეკემბრის კანონებით მიენიჭა სასრევენო უფლება.

შემდეგ ნამესტნიკი მოაკონებს გუბერნატორებს რომ არჩევნები თავისუფლად უნდა მოხდეს და ამიტომ

დებულებას, რომლის ძალითაც ვერავითარი კანონი ვერ იქნება სისრულეში მოყვანილი ჩვენ და ლუმბოკიცბლად, ჩვენ საზოგადო წესად ვადგენთ, რომ სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შემდეგ, ვერავითარი კანონი ვერ შევა ძალაში საბჭოსა და სათათბიროს მოწოდებლად, მაგრამ როცა სათათბიროს მუშაობა შეწყვეტილი იქნება, მაშინ სახელმწიფო საბჭოს ნება აქვს პირდაპირ ჩვენ წარმოგვიდგინოს მოსახრებანი ამა თუ იმ ზომების შესახებ, რომელიც გამოწვეული იქნება სახელმწიფოში რაიმე განსაკუთრებულ მდგომარეობით და რომელიც კანონმდებლობითის წესით უნდა იქმნან განხილული. მაგრამ ამისთანა ზომებს არ შეუძლიანთ რაიმე ცვლილება შეიტანონ არც სახელმწიფოს ძირითად კანონებში, არც სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს დებულებებში და არც დაწესებულებების საარჩევნო წესრიგში. ასეთი ზომები ისლობა, თუ სათანადო მინისტრი ან მთავარგამგებელი სათათბიროს გახსნის შემდეგ ორი თვის განმავლობაში არ შეიტანს სახელმწიფო სათათბიროში მიღებულ ზომის შესაფერ კანონ-პროექტს და თუ სათათბირო ან საბჭო არ მიიღებს იმ კანონ-პროექტს. ამ ორ უმაღლეს დაწესებულებების მომავალ მოქმედებას საფუძვლად შემდეგს უდებთ: სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს ყოველ წელს ვწვევთ და ვითხოვთ ჩვენის ბრძანებით. სახელ. საბჭო განიხილავს თავის წევრთა რწმუნების ქალაქებს, ხოლო სახელმწიფო სათათბირო თავის წევრთა; ერთსა და იმავე პირს არ შეუძლიან იყოს ერთ და იმავე დროს სათათბიროსა და საბჭოს წევრად. როგორც პირველს, ისე მეორეს ნება აქვს შეიტანოს თავისი განზრახვანი სახელმწიფოს ამა თუ იმ კანონის შეცვლისა ან ახლის გამოცემის შესახებ, მაგრამ ვერ შეეხება ძირითად კანონებს, რომლების გადასინჯვის უფლებას ჩვენზე ვტოვებთ. ამა თუ იმ კანონის პროექტს განიხილავს სახელმწიფო სათათბირო და მოწონების შემდეგ, გადასცემს სახელმწიფო საბჭოს. თუ პროექტს შეიტანს სახელ. საბჭო, იმ შემთხვევაში ეს პროექტი ჯერ თვითონ საბჭოში იქნება განხილული და, მოწონების შემდეგ, სათათბიროს გადაეცემა. ის პროექტი, რომელსაც ორივე დაწესებულება მოიწონებს, ჩვენ წარმოგვდგინება განსახილველად. ნება ეძლევათ მიმართონ მინისტრებს და მთავარ-გამგებებს, რომელნიც კანონ

ით სენატს ექვემდებარებიან, შეგვიტონენ იმ მოქმედებათა გამო რომელიც უკანონოდ იქნება ცნობილი. ამ ძირითად საფუძვლების გასაძლიერებლად ჩვენ დავამტკიცეთ ის დადგენილებანი, რომელიც ეხება სახელმწიფო საბჭოს შეცვლას. აგრეთვე ჩვენის ბრძანებით ვადთვლიერებულ იქნება დებულება სახელმწიფო სათათბიროს დაწესების შესახებ. სენატს ვუბრძანებთ ეს კანონდებულებანი საყოველთაოდ გამოაქვეყნოს. წეს-რიგს იმ კანონ-პროექტების განხილვისას, რომელიც იზპერასა და ფინლიანდის დიდ სამთავროს შეეხება, თავის დროზე დენიშნავთ. იმედი გვაქვს, რომ ჩვენ მიერ დაწესებულ საქმეს მოჰყვება რუსეთის აყვავება და წეს-რიგის მშვიდობიანობის და კეთილ-დღეობის დამყარება.

ბოძებულია ცარსკოე სელოში, 20 თებერვალს, ქრისტეს დაბადებიდან 1906 წელს, ხოლო მეფობისა ჩვენისა—მეთერთმეტე წელს.

«ნიპოლოლოზი»

* * * „კავ.“-ში დაბეჭდილია ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის მოხსენება შტაბის უფროსის სახელზე. მოგვყავს სიტყვა სიტყვით: „ტფილისში გავრცელებული ხმები, ვითომ ქუთაისის გუბერნიაში ჯარი ძარცვა-გლეჯას და ცეცხლის წაქიდებას მისდევდეს, ყოველ სიმართლეს მოკლებულია. რაც ქუთაისის გუბერნიაში შემოველ, ესე იგი 11 იანვრიდან, ამისთანა არა მომხდარა-რა. სხვა-და-სხვა კომიტეტების მეთაურებმა, რომელნიც ჯარის მოსვლისთანავე გაიქცენ, დასტოვეს რამდენიმე ათი კაცი, რომელთაც დაევალოთ არ შეაჩერონ ტერრორი. ეს ბოროტ-მოქმედნი განსაკუთრებით დამამოზობთ იცვამენ სალდათის ტანისამოსს და იწყებენ ძარცვას და ცეცხლის წაქიდებას. მერე თითონვე ტრუ ხმებს ავრცელებენ, ვითომ ამ საქმეს სალდათები სწადიოდნენ“. როგორც «კავახში» ვაღმოგვცემს, მოხსენებასთან ერთად აღიხანოვს გამოუგზავნია თავისი ბრძანებანიც, რომლითაც ჯარს უკრძალავს ძარცვა-გლეჯას და ცეცხლის წაქიდებას. დასასრულ გენერალი აცხადებს, რომ ჯარი მტკიცედ ასრულებს ბრძანებებს და იმის წინააღმდეგ არავითარი საყვედური არ ითქმისო. (ცნ. ფურ.).

* * * რადგან ტფილისში შუა თებერვლის რიცხვებიდან საგლეხო ბანკი არსდება, ტფილისის გუბერნიის ბევრ მემამულეს შუამდგომლობა აღუძრავს უმაღლეს მთავრობის წინაშე, შეღავათიანის პირო-



ბით გამოსყიდულ იქმნას მათი მამული გლეხთათვის დასარიგებლად.

* * * სამრევლო სკოლების ოლქის უფროსის ვოსტოროვების წყაღვის შემდეგ იმის მოადგილედ დარჩა ა. ი. ოდოვევი, რომელმაც ამ მოკლე ხანში დაამთავრა გასული წლის ანგარიში. თავის ანგარიშში იგი, სხვათა შორის, სწერს, რომ გადაწყვეტილება სამაზრო მეთვალყურეთა კრებისა, რომელზედაც დადგენილ იქმნა ყველა საგნების სწავლება ქართულ ენაზე, ტენდენციურად მიანიჭა და საზოგადოდ არ თანაუგრძნობო. ეს სიტყვები საქმიტად დაუმტკიცებია ბან ოდოვეს და ამ დღეებში გადაყენებულ მასობის მეთვალყურის მღ. ნიკიფორე კანდელავის ნაცვლად დაუნინშნისარულიად ქართულ ენის უცოდინარი მღ. მუცესტევი, მეგრ ისეთ ალაგას, როგორც ქვიშხეთის საბოქაულაო, ესე იგი მთიულეთი.

* * * პეტერბურგიდან ეპ. ლეონიდისაგან მიღებულ წერილის თანახმად, ავტოკეფალიის შესახებ შემდგარა ცალკე კომისია. კომისიას თავმჯდომარეობს მიტროპოლიტი მოსკოვისა ვლადიმირი, ხოლო წევრებად არიან: ფლაბიანე, მიტროპოლიტი კიევისა, ნიკოლოზ, საქართველოს ექსარხოსი, ვისი კოპოსები კირიონი და ლეონიდი, ობერ-პროკურორი, მისი ამხანაგი და ობერ-სეკრეტარი.

* * * „ცნობის ფურცელს“ ატყობინებენ პეტერბურგიდან, საქართველოს ექსარხოსი კავკასიაში აღარ დაბრუნდება, რადგან განზრახულია საეკლესიო რეფორმაო.

—მაღე შეუდგება პრაქტიკულს მოქმედებას პეტერბურგში მცხოვრებ ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებო, რომლის წესდება უკვე დამტკიცებულია მთავრობისაგან.

—ხარკოვიდან იტყობინებიან, რომ იქაურ საპატრიარქოებში, მეტის-მეტ სიეიწროვის გამო, პოლიტიკურ ტუსაღთა შორის სხვა და სხვა გადამღები სენი მძებნავარებსო. ამ ტუსაღთა შორის კავკასიენლიც არიან.

—მ იანვარს სახელმწიფო საბქო შეუდგა ბექღეთი სიტყვის ახალ კანონ-პროექტის განხილვას; ეს პროექტი ეკუთვნის ყოფილ იუსტიციის მინისტრს მანუხინს.

—პირველ რანგის კაპიტანი სკალოვსკი დაინიშნა კასპის ზღვის ფლოტილის უფროსად. მას მიენიჭა

ფართო უფლება საეაქრო გემებისა და ნავთ-სადგურების დაღვისათვის. განზრახულია კასპის ზღვაზე სამხედრო ფლოტილის გაძლიერება (ც. ფ.).

* * * ამ ბოლო დროს ქუთაისში დიდ-ძალმა ინგუშმა მოიყარა თავი. ესენი უსაქმოდ დაეხეტებიან... შემდიან ღუქნებში, სეამენ-ქამენ და ფულკი არ აძღვევენ, რასაც ხშირად დღი უსიამოვნება და ერთი აურ-ზაური მოჰყვება ხოლმე.

* * * სინოდს შემდეგი დაუდგენია ქორწინების გასაადვილებლად: 1. გამოცხადება ქორწინების შესახებ იმ ეკლესიაში უნდა მოხდეს, რომელთა მრევლსაც ეკუთვნიან დაქორწინების მსურველნი იმისდა მიუხედავად, რომელ წოდებას ეკუთვნიან ისინი. არ უნდა მოეთხოვოთ მთ მოწმობა თავის სამშობლოდან. 2. არ უნდა მოეთხოვოთ მოწმობა სამხედრო ბეგრის გადახდისა და სამხედრო ნაწილის მიწერისა; 3. არ მოეთხოვოთ წმიდა საიდუმლოს მიღების მოწმობა; 4. თუ პასპორტში რაიმე ცნობა აკლია დაქორწინების მსურველის პიროვნების შესახებ, მაშინ მხოლოდ პოლიციის მოწმობა მოეთხოვოს მას იმის შესახებ, რომ ამ პირს უფლება აქვს დაქორწინებისა, ან მოთხოვოს ორი მოწმის წარმოადგენა, რომელთა ჩვენებაც ნოტარიუსმა უნდა შემამოწმოს.

X ეგანაღა. ყვირილის ღუქნები მთლად ცეცხლითაგან განადგურდა. დაიწვა რამდენიმე სახლებიც. ხალხის ზარალი ორ მილიონზე მეტია. ყვირილას აღარ აქვს იმედი ას წელიწადში შეიძინოს ის რაც დაჰკარგა. დაიწვა თეატრი, სამეურნეო ბანკი და აფთიაქი. ერთ-ერთ თავშესაფარად ზოგან ეკლესია გაიხადეს და კიდევ გადარჩენ.

* * * განადგურდა და დაიწვა სვირის ყველა ღუქნები. გაიძლევა აგრეთვე ხარაგაულის ღუქნები, დაიწვა საეაღმყოფო და დეკ. ერ. ვეფხაძის სახლი. ცეცხლი ეკიდება სახლებს სოფლებში ქუთაისის გუბერნიაში. ბევრი შეიშალენ ქკუაზე. დაქირალ-მოკლული კაცის გვაშები იპოვეს წყალში. ერთი კაცის გვაში ორი დღე და ორი დამე ეგდო წყლის პირათ შორაზნიდან წყლით წამოღებული.

* * * ორ კვირაზე მეტია ყვირილის სამაზრო ხაზინას ახვევია აუარებელი ხალხი, რომელთაც ფულები შეაქვთ, რომელიც ამას წინეთ გაიტაცეს ხაზინიდან და მოუტაცნათ ოდესღაც ქიათურის ფოსტიდან, სულ ხალხს ხდება 247 ათას 600 მანეთი.

ფოსტის ფულუმის წამლები იმალებიან. ხმები, რომ ფულები აქვთ წამლებებს და უკან დაბრუნებას უპირებენ, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია.

* * * ურემიით მოაქვთ ძველი დაჯანგული თოფები და სხვა იარაღები. ყველა ყაჩაღებისათვის სანატრელი დრო ღდება. ამის შემდეგ ყოველ კაცს შეუძლია თავხარი დასცეს მცხოვრებლებს, რადგან იარაღის შიში აღარ ექნებათ.

* * * მთელი ქუთაისის გუბერნიის დამორჩილება თითქმის დასრულდა. არც ერთ ადგილას წინაღობა არავის გაუწევია. ჯარს ყველგან ხატებით, ჯვრებით, შემოსილი მღვდლებით, პურ-მარილით და ღვინით გვებებიან... მეომარნი დასად სჩანან.

* * * რკინის გზის შესახებ ათასი ხმა დადის. როგორც ვიცით, რკინის გზაზე ამჟამად სამხედრო წესებია და უფროსებელ სამხედრო კაცები არიან.

* * * ხმები ისმის, რომ ექსპრესო მთავარ-ევისკოპოსი ნიკოლოზი ინიშნება მთავარ-ევისკოპოსად ნიენი-ნოვგოროდის ეპარქიაში.

* * * ორლოვის ეპისკოპოსი კირიონი უწმიდესი სინოდისაგან გადმოყვანილია სოხუმის ეპისკოპოსად და სოხუმის ეპისკოპოსი—ორლოვის ეპისკოპოსის კათედრაზე დაინიშნა.

* * * „კავკასი“-ში დაბეჭდილია ტუ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულება. ამ განკარგულების ძალით, თავდამსხმელნი და მძარცველნი სამხედრო სამართალში იქნებიან მიცემულნი. იქვე განმარტებულია, რომ სამხედრო კანონის ძალით დამნაშავენი სიკვდილით დასჯებიანო.

* * * საქმე ტუ. მაზრის მცხოვრების არჩილ ჯორჯაშვილისა, რომელსაც გენერალ გრიგორის მოკლვა ბრალდება, უკვე გარდაეცა განსახილველად კავკასიის სამხედრო სსამართლოს. საქმის განხილვა დანიშნულია მომავალ კვირაში, თუმცა დღე ჯერ არ არის დანიშნული. ბრალდებულს დღაცეს ნაფიცი ექილი თავ. იოსებ ბარათაშვილი.

* * * ამ კვირაში გორის მაზრის უფროსი სტრაჟნიკებითა და ყაზახებით მიდის ს. ტირქნისში იმ აზრით, რომ გლეხებს შარშანდელი მოსავალი გადახდევინოს ადგილობრივ მემამულის სასარგებლოდ. როგორც ვაივით, როდენობა ამ გადასახადისა შეიდას თუმანს აღემატება და რა გზით მოახერხებენ

ბენ ტირქნისასა და ბროწეთის მცხოვრებნი ამ ფულის შეტანას, არაფერ იცის. ამავე სოფელ ტირქნისში 20 ამ თვეს წვიდა კომისია გორის მაზრის თავდა-აზნაურთა წინამძღოლის თავ. გ. ბაგრატიონი და ვითიშვილის თავმჯდომარეობით. კომისიამ უნდა შეამოწმოს ზარალი იმ შეფასებასთან, რომელიც მოუხდენია თვით მამულის პატრონს.

* * * ქართლის დროებით გენერალ-გუბერნატორმა სასინოდო კანტორას შემდეგი მოწერილობა გამოუგზავნა: „როგორც გორის მაზრის უფროსი მიერ შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, სოფ. აწრის-ხევის მღვდელს გიორგი პარკაძეს, რომელიც დღე როდეს თამაშობდა მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობაში, დაუნებებია მრევლისთვის თავი და ტფილისში წამოსულა. ერთ ხანად პარკაძე სცხოვრობდა გორში, სადაც ერთ მიტინგზე ქალაქის ხმონსადაც აარჩეს. ტფილისიდან მღ. პარკაძე დრო-გამოშვებით ამოდის გორში იმ აზრით, რომ ადგილობრივ ხაზინიდან ხვედრი ფული მიიღოს. მაზრის უფროსისავე მოხსენებით მას გაუხდია უკვე ანდროსა და საერო კაცის ტანთსაცმელს ატარებს“. დასასრულ გენერალი ბაუერი სთხოვს კანტორას აცნობოს, ირიცხება თუ არა თავის თანამდებობაზე ეს მღვდელი?

* * * ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორამ სინოდისაგან შემდეგი მოწერილობა მიიღო: საუფლისწულო მამულების მთავარ გამგებობის უფროსმა თ. კაპუბემი შემდეგი წერილით მიმართა სინოდს: აბრამიურსოს მღვდელი მ. ვლადიმერ ზნამენსკი საუფლისწულო მამულების მუშათა მიტინგებში დიდ მონაწილეობას იღებდა. მანვე შეუდგინა მუშებს პეტიცია, რომელშიაც მეტად მაკარი და შეუფერებელი სიტყვებია. გარდა ამისა მ. ზნამენსკი თავის სახლში იღებდა წარმომადგენელთ სოციალ-რევოლიუციონურ პარტიის და აგრეთვე გლეხთა კრების აგენტებს. ყველა ამას მ. ზნამენსკი არც უარსა ჰყოფს თავის მოხსენებაში. დასასრულ სინოდი სთხოვს კანტორას გადაიყვანოს მ. ზნამენსკი საუფლისწულო მამულების ეკლესიიდან სადმე სხვა ალავას. თავის მხრივ საუფლისწულო გამგებმა შემწეობად სამის თვის ჯამაგირს აძლევს მ. ზნამენსკის.

* * * უმილღეს წრეებში დაბეჯითებით ამბობენ, რომ მალე გამოცხადდება უმილღესი მანიფესტი,



რომელშიაც სხვათა შორის იქნება გამოქვეყნებული ამნისტია ყველა პოლიტიკურ ტუსათათვის.

* * * სახელმწიფო სათათბიროს წევრების არჩევა უნდა მოხდეს 20 თებერვლიდან 10 მარტამდე. სათათბირო შეიკრიბება 27 აპრილს.

* * * გაზეთები ამბობენ, რომ ამ დღეებში გამოცხადდება კანონი, რომლით რუსეთში ისპობა სიკვდილით დასჯა.

გვიკვირს, რომ ამისთანა უსაფუძვლო ამბებს ბეჭდავენ გაზეთები. ამასწინათ როზვიც მოსპობილად იყო გამოცხადებული, მაგრამ მოისპოა?

* * * „ცნობის ფურცლის“ კორესპოდენტი იტყობინება პეტერბურგიდან: «ვინახულე ქუთაისის გუბერნატორად ნამყოფი ბ-ნი სტაროსელსკი. სამინისტროსათვის ანგარიში არ წარუდგენია და არც აპირობს, განზრახვა აქვს მოითხოვოს საჯარო სასამართლოში ვადაცემა თავისის საქმისა.

* * * სინოდმა შეიმუშავა პროექტი საქართველოს სავესტარხოსოს რეორგანიზაციისა. ამ პროექტის შედეგი გაივით. პროექტით სავესტარხოსო გაიყოფება ორ, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მთავარსაეპისკოპოსოდ. აღმოსავლეთის თავის თავის მხრივაც ორად გაიყოფა. პირველში შევა ტფილისის გუბერნია და ზაქათალის ოლქი, მეორეში სხვა გუბერნიები; დასავლეთ მთავარ-საეპისკოპოსოში შევა ებარქიები სოხუმისა, იმერეთისა და გურია-სამეგრელოსი. ყოველ ებარქიაში იქნება საბჭო, რომლის წევრებსაც მოიწვევს და დამტკიცებს მთავარ-ეპისკოპოსი. საბჭო დამოუკიდებელი იქნება საეპარქიო საქმეების გადაწყვეტის საქმეებში. სასინოდო კანტორა გაუქმდება და საქმეები კანტორიდან ზემოხსენებულ საბჭოებს გადაეცემა.

* * * ტფ. მებუთე ნაწილში პოლიციას 10 ფუთი თოფის წამალი აღმოუჩენია.

* * * რუსულ გაზეთის სიტყვით, კავკასიის პოლიციის უფროსად გენერალ შირინკინის ნაცვლად ინიშნება მოსკოვის გრადონაილინიკად ნამყოფი ბარონ მედემი.

* * * ქალაქის რუსმა სამღვდლოებამ უარი განაცხადა ახალ რედაქციით გამოოსულ „სასულიერო მოამბის“ გამოწერაზე. (ც. ფ.)



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საწმენოებსა და კეთილშენებაზე.

ადამიანი თვითშემანის წინაშე.

მშენებია ადამიანის ბუნება, როგორც ქმნილი ღვთისა, უზენაესის მშვენიერებისა. მშენებია ადამიანის გონება, როგორც ნიჭიერება ჰზრობისა: იგი ჰფრინავს ჰაერის სივრცეში და ზე ზედაც; მიხვლი მისი განვლის ხმელეთის გულსა და ზღვათა სიღრმეს; იგი მფობს ქვეყანაზე, შეიმუშავებს და შეისწავლის მას, ადამიანის სასარგებლოდ. მას ემორჩილება ხმელეთი, ჰაერი და ზღვა. მის ძალით მოძრაობენ: ხელოვნება სარეწავი-აღმშობიკემა; მის ძალით არიან აგებულნი ხომალდნი, ორთქვაილნი, გზანი შეერთებისანი, რომელნიცა კაცის სასარგებლოდ, ამოკლებენ ჟამსა და სივრცესა. მან შექმნა ნიიფთნი განცხრობისა და ნებიერობისა, რომელთაცა ყოველი ადამიანი, მეტად ანუ ნაკლებ ეტრფი-ალება, მაგრამ უმეტესობა ვერა ჰსწვდება მათ და ტრფიალი ამაოდ რჩება...

ასე აქებს, ასე აღმერთებს ადამიანს მისი თვით შეგნების ერთმხრივი სჯა. ხოლო ყოველმხრივი სჯა წარმოუდგენს ადამიანს მის ბუნების სხვა სურათსა, სიდაც იგივე, კაცი ხედავს როგორც ძალას, ისე უმლურებას თვის ბუნებისასა, როგორც სანუგეშოს, ისე სამწუხარო მხარესა.

აი მს სურათი:

კაცი არის არსება სულიერი-ხორციელი, გონიერი, ზნეობითი, პიროვანი, თავისუფალი, თვისი. ვე მსახური, თვითშემგნე, უკვდავი, უმჯობესი ქვეყნიერთა არსებათა შორის. ეს ყოველი მშვენიერებაა, მაგრამ, იმავე დროს, კაცი შეიგნებს, რომ იგი ასრე

შემკული, არ არის თვითმყოფი. იგი სცნობს, რომ ამ ქვეყანაში, სადაც უნათებენ მას მზე, მთვარე და ვარსკვლავნი, სადაც არის ურიცხვი სიმრავლე მრავალგვარ ქმნილებათა, იგი თვით უმჯობესია მათზედა. სიდიდე, სიმთელე, სისრულე და მშვენიერება ამ ნივთიერი ქვეყნისა, მეტადრე მშვენიერება კაცის ბუნებისა, აკვირვებენ კაცსა და აყენებენ იმ ჰაზრზე, რომ მოსძებნოს პირველიმიზეზი, რომლისაგანაც წარმოსდგა ესოდენ საოცარი სამყარო: აქ კაცი შეიგნებს, რომ, უკეთუ იგი, როგორც უმჯობესი არსება არ არის თვით-მყოფი, მაშ სრულიად სამყაროც ვერ იქმნება თვით-მყოფი. ამ მიუწოდომელ სამყაროში არის სიმრავლე სულიერ და უსულო არსებათა. უსულო ნივთიერებას არა აქვს ძალა, არც ნიჭი რისამე შექმნისა ანუ აღშენებისა. ადამიანის ძალაც და ნიჭიც ისე მცირენი არიან, რომ ნივთიერების გაჩენა მის არ შეუძლიან. იგი აშენებს რასმე ნივთიერს, იმასაც მცირედს, მზა ნივთიერებისაგან. კაცივე შეიგნებს, რომ მის ბუნებაში ძალა და ნიჭი აღშენებისა აქვს სულსა და არა სხეულსა, რომელიც არის სულისთვის მხოლოდ საჭირო იარაღი. ამგვარად კაცი თანხმდება იმ ქეშმარიტებაზე, რომ მოქმედება, შექმნა-აღშენება რისამე, დიდისა ანუ მცირედისა შეუძლიან მხოლოდ სულიერსა და არა ნივთიერ არსებასა.

აქედგან კაცის თვით შვენებაში იზადება ის ზირველი, უმაღლესი და შეურყეველი ქეშმარიტება, რომ შემომქმედი თვით ადამიანისა და ყოვლისა არსისა უნდა იყვას. და არის უმაღლესი თვით-მყოფი და ყოველად შემძლებელი სული. ასე კაცს შეუძლიან ჰსცნოს და აღვიაროს ღმერთი შემომქმედი.

ეს ქეშმარიტება ჰბადავს კაცის გონებაში იმ შუარე ქეშმარიტებასა, რომ ამ მშვენიერ სამყაროსა უნდა ჰყავდეს, და ჰყავს მზრუნველი ყოვლადშემძლებელი, რომელიც იმაგრებს მის მყოფობის წესსა, სიმთელესა და სისრულესა. ასე კაცი სცნობს ღმერთსა და მზრუნველსა.

ადამიანს შეუძლიან არამც თუ ზემო და გარემო ხედვა, რომ იცნოს ღმერთი შემოქმედი და მზრუნველი, იგივე კაცი შედის თვის ბუნების სიღ-

რმეში, მის ტაძარში, რომ იცნოს ზნეობითი მღვთმარება ამ ბუნებისა. აქ კაცის თვით-შვენებას წარმოუდგება ის მწარე ქეშმარიტება, რომ თვით არსება კაცის ბუნებისა მშვენიერია, იგი უკვდევია, მაგრამ, როგორც დაცემული, ცოდვითი, არის საბრალო მსხვერპლი ხორციელისა, ისე სულიერი საუკუნო სიკვდილისა. აქედგან კაცის თვით-შვენებაში ის მუსამე უმაღლესი ქეშმარიტებაა, რომ კაცი საჭიროებს ზენაურ შველაში, ხსნაში ცოდვისა და საუკუნო სიკვდილისაგან—ცხონებაში: შეიგნებს კაცი, რომ მისთვის საჭიროა ღმერთი-მაცხოვარი და განმანათლებელი, რომელსაც შეუძლიან ცოდვითა მიტეგება, ზნეობრივ დაცემულ კაცის აღდგენა, მისი გამართლება და განათლება საუკუნო ნეტარი ცხოვრებისთვის. ამ გზით კაცი თვის სანუგეშოდ და სასიხარულოდ, იცნობს ღმერთსა მაცხოვარსა და და განმანათლებელსა.

ასეთია სამართლიანი სჯა ადამიანის გონებისა, თუ ლამაზი მის ჰაზრობისა არ ირყევა და არა ქრება სიკრუვისა და ამოგების ქროლითა, თუ სული ადამიანისა მათ ზევით ღდას.

ღვთის ანსებას,	სულ-გული ტკება,
მისი ერთობა,	არ იტანჯება;
ისე ცხადია,	—
ვითა მსე დია.	ხოლო ტუედი,
—	ვითარცა ცილი,
ტუეუალს ვერადთა,	სულს ამწარებს,
სიმათლეს ვსდითთ;	მტრესა სსარებს...
მიეგეით ნათელში,	—
გემწირს ხელში	ასე ვიცდეთ,
მისი ღმწარა,	ასე ვადგეთ
ვითარცა ჯვარი.	ჩვენ ცხოვრებაში,
—	რთა ზეცაში
ამ სიმათლიათა,	ზსუსხა მივსცეთ,
ვითა თაფლიათა,	ნუგეში ვიცეთ...
	o. ბალუგეო.



საჭირო კალენდარული ცნობანი.

კვირთაჲს, ხმის და საცხვრე სახარების მანუშკირები 1906 წელსა.

ო კ ე ნ ა.	რიგეი.	კვირთაჲკუ.	ხ მ ა.	საღ. სახარ.	ო კ ე ნ ა.	რიგეი.	კვირთაჲკუ.	ხ მ ა.	საღ. სახარ.
იანვარი.	1	30	5	—	ივლისი.	2	6	5	6
	6	დღისა	დღისა	დღისა		9	7	6	7
	8	31	6	9		16	8	7	8
	15	32	7	10		23	9	8	9
	22	33	8	11		30	10	1	10
	29	35	1	1					
თებერვალი.	5	ხ. დ.	2	2	აგვისტო.	6	11	2	11
	12	ყ. დ. უ.	3	3		13	12	3	1
	19	1 კ. მ.	4	4		20	13	4	2
	26	2 კ. მ.	5	5		27	14	5	3
მარტი.	5	3 კ. მ.	6	6	სექტემბერი.	3	15	6	4
	12	4 კ. მ.	7	7		10	16	7	5
	19	5 კ. მ.	8	8		17	17	8	6
	26	ბზობა	დღისა	დღისა		24	18	1	7
აპრილი.	2	აღღ	გობა	დღისა	ოქტომბერი.	1	19	2	8
	9	2	ნ	1		8	20	3	9
	16	3	ღ	3		15	21	4	10
	23	4	ე	4		22	22	5	11
	30	5	კ	7		29	23	6	1
მაისი.	7	6	ღ	8	ნოემბერი.	5	24	7	2
	14	7	ბ	10		12	25	8	3
	21	8	ღ	დღისა		19	26	1	4
	28	1	8	1		26	27	2	5
ივნისი.	4	2	1	2	დეკემბერი.	3	28	3	6
	11	3	2	3		10	29	4	7
	18	4	3	4		17	30	5	8
	25	5	4	5		24	31	6	9
						31	32	7	10

განცხადებანი.

სტამბა

ყურნალ „მწყემსი“ ს რედაქციისა

დ. ყვირილაში.

ღებულობს ყოველ-გვარ სასცამბო საქმეებს რუსულ, ქართულ და ევროპიელ ენებზე.

სუფთად, სწრაფად და იაფად

რაშიდაც დარწმუნდება ყოველივე საქმის დამკვეთი

მიიღება ხელის-მოწერა 1906 წლისათვის ოკტობრულ ბაჟოსამათა ძარბოსს

XXIII წ. „მწყემსი“ № XXIII წ.

დ

XXII წ. რუსულ «Пастырь»-ზე XXII წ.

ყურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— „რუსული“ „ 3 მ.	— „რუსული“ „ 2 მ.
— „ორივე გამოცემა“ 5 მ.	— „ორივე გამოცემა“ 3 მ.

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა ყვინაღაში რედაქციაში, თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ვისაც ნაწილ ნაწილად სურს ხელმოსაწერი ფულის შემოტანა მან ორივე ყურნალისთვის უნდა წარმოადგინოს 3 მან. პირველ იანვარს და 2 მ. პირველ ივლისს. მარტო „მწყემსი“-სთვის: პირველ იანვარს 1 მ. პირველ აპრილს 1 მ. პირველ ივლისს 1 მან. სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გახეთქილადეთობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მან ეთად. რედაქცია იმყოფება დ. ყვინაღაში რედაქციორის საკუთარ სახლგებში.

ბარე შე მცხოვრებთ ყურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: Вь Квирлиа, вь редакцiю газеты и журнала „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კათოლიგი დრო-გამოშვებით ყურნალშიდაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

„სოზის ფურცალი“

სურათმზიანი ღამათმზი 1906 წელს

გამოვა იმავე ჰროგნამით,

ყოველ ღღე, გარდა ორშაბათისა და დიდ უშემების შემღეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გახეთის ფორმატინ **ბადიდმეშული** იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქალაღი. ქალაღი უკვე მოვიღა, ხოლო მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა გზაშია.

ფასი გაფითისა:

კვეკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით **პრტის წლით 6 მან.** მრტის თვით 50 კაპ.

სახლღარ-გარეთ გაგზავნით **მრტის წლით 11 მან.** მრტის თვით 1 მან.

გაფითის ხელის მომწერთ გაგეგზავნებათ სურათებანა დამატება.

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები აღგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიღებენ, გარდა მუღმე თანამშრომლისა მ.ატეარი ოსკარ შვერლინგისა და გოგიაშვილისა, მბატერები გრინეგსკი, ბერიძე და როტერი.

„ცნობის ფურცლის“ წღიურ ხელისმომწერთ ერთის მანეთის დამატებით გაგეგზავნებათ იმორისტული ყურნალი **«ნაპერწკალი».**

ადრისი: Тифлиς, редакцiя „Цнобисъ Пурцели“.

„ნაპერწკალი“

საოხუნჯო კარიკატურამზიანი შურნალი

გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით, 4—8 გვერღი, კარიკატურები დაიბეჭდება **ფინადის წამლაბით.** ყურნალში გარდა მუღმე თანამშრომლისა მხატვარ ოსკარ შვერლინგისა, თანამშრომლებელ მოწვეულღნი არიან და მიიღებენ მონაწილეობას მხატვრებან-გრინეგსკი და როტერი.

ფასი ყურნალის წღიწად 4 მან., თვეში 40 კაპ.,

ცაღკე ნომერი 40 კაპ.

„ცნობის ფურცლის“ მხოლოდ წღიურ ხელის მომწერთ **«ნაპერწკალი»** გაგზავნებათ ერთი მანეთის დამატებით, ე. ი. გახეთის ხელის მომწერანი წღიურ ექვს მანეთის მაგივრად შეიღ მანეთს ვალაიხღანა.

«ნაპერწკალის» წღიურ ხელის მომწერთ 3 მან. დამატებით გაგეგზავნებათ გაფითი **«ცნობის ფურცღღიღე».**

ფოსტის ადრისი: Тифлиς, Редацiя „Наперцкали“.

ОТКРИТА ПОДПИСКА

на 1906 годъ НА ГАЗЕТУ

„КАВКАЗЪ.“

подъ редакціей П. А. ОПОЧИНИНА

подписная цѣна:

Для городонихъ подписчиковъ. На 12 мѣсяцевъ 7 руб., на 11 мѣс. 6 р. 50 к., на 10 мѣс. 6 р., на 9 мѣс. 5 р. 50 к., на 8 мѣс. 5 р., на 7 мѣс. 4 р. 50 к., на 6 мѣс. 4 р., на 5 мѣс. 3 р. 50 к., на 4 мѣс. 3 р., на 3 мѣс. 2 р. 25 к., на 2 мѣс. 1 р. 50 к., на 1 мѣс. 75 к.

Для иногороднихъ подписчиковъ. На 12 мѣсяцевъ 8 р. 50 к., на 11 мѣс. 8 р., на 10 мѣс. 7 р. 50 к., на 9 мѣс. 7 р., на 8 мѣс. 6 р. 50 к., на 7 мѣс. 6 р., на 6 мѣс. 5 р. 50 к., на 5 мѣс. 5 р., на 4 мѣс. 4 р., на 3 мѣс. 3 р., на 2 мѣс. 2 р. на 1 мѣс. 1 р.

Допускается разсрочка для годовыхъ подписчиковъ.

Для городонихъ. 1-й взносъ при подпискѣ 2 р., 2-й къ 1-му марта 2 р., 3-й къ 1-му мая 2 р., 4-й 1-му юля 1 р.,

Для иногороднихъ. 1-й взносъ при подпискѣ 2 р., 2-й къ 1-му марта 2 р., 3-й къ 1-му мая 2 р., 4-й къ 1-му юля 1 р. 50 к., 5-й къ 1-му сентябтя 1 р.,

ПОДПИСКА И ОБЪЯВЛЕНІЯ ПРИНИМАЮТСЯ въ конторѣ газеты „Кавказъ“ (Гриванская площадь домъ Харазовой, телефонъ № 182).

Лица и учреждения, находящіяся внѣ г. Тифлиса, плату за подписку и объявленія благоволятъ присылать въ контору газеты „Кавказъ“ полностью, безъ вычета за пересылку и съ точнымъ указаниемъ на какой предметъ (за подписку или объявленія) высланы деньги.

Правительственныя мѣста и должностныя лица, находящіяся въ Тифлисѣ деньги за газету «Кавказъ» и за объявленія въ ней могутъ направлять непосредственно въ контору газеты «Кавказъ».

საქართველო ჟურნალი „ნაკბდული“

თემატობით

მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის. თვეში ორჯელ სამა წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის

პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი შვილები საუკეთესო მიღებასა.

წელიწადი ითვლება 1-ლ იანვრიდან 1-ლ იანვრამდე. ჟურნალის ფასი:

ერთად ორივე გამოცემა წელიწადში 5 მან., ცალ-ცალკე სამსამი მან.,—ნახევარი წლით ერთად 2 მ. 50 კ., ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ.,—თვეში 40 კაპ.—ცალკე ნომერი მცირე წლოვანთათვის 15 კაპ., მოზრდილთათვის 25 კაპ.

წლიურ ხელის მამწეობა შეუძლიან თვეში თითო მანეთით შემოატანან.

რედაქცია იმყოფება ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე,

ზუბალოვის სახლში № 8.

დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.

წერილები რომელზედაც არ იქნება აღნიშნული სურვილი ჳონორარის მიღების, უსასყიდლოდ იქნება ჩათვლილი.

რედაქტორი მარიამ ივანეს ასული დემურიაი. გამომცემელი თბ. პპ. იოსებ, თუშანიშვილი.

შ ი ნ ა რ ს ი :

სალიტერატურო განყოფილება: რედაქციისაგან.

- ახალი მიმართულებით „სასულიერო მოამბის“ გამოცემის კითხვის შესახებ, სოფლის ხუცების. —კრისტე კანონმდებელი, მღ. დო —ტი ჩხაიძის. —რას საკითხებს ჩვენნი მართლ-მადიდებელი ეკლესია? მღ. კ. ანთაძის. —წერილი თბილისიდან.
- ბ-ნი გამოართელი და მისი ახალი მრწამსი, ბლ. მღ. სიმონ ბელიძის. —მთელი რუსეთის საზოგადოების საეკლესიო კრების გამო. —წესები, სახელმწიფო სათათბიროს წერთა არჩევნების მზუნდენისა კავკასიაში. —სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირი. —ცირკულარები არჩევნების შესახებ. —უმადლესი მანიფესტი. —ახალი ამბები და შინაშეგები.

სწავლა ჳ მსენიკება ჳრისტიანობის სარწმუნოებასა და ქრითლ-წმინდასა: ადამიანი თითო შეგნების წინაშე, ი. ბალუცისა. —განცხადებანი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ღ. ლამაზიძე,

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе

სტამბა ჟურნალის „მწიქების“ ს რედაქციისა (დეკ. ღ. ბ. ლამაზიძისა) ყვირილი საკუთარ სახლში.